სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 9 აპრილი 2008 №079 (3303) ფასი 50 თეთრი

ვინ გაჰვა ფონს ზესტაფონში?

დინამო 1:1 ზესტაფონი

თბილისელებს გონს მოსასვლელად კაცნაკლულობა დასჭირდათ

ამათგან ერთი ეროვნულზე ფინალისტად დაბრუნდება



დინამოელთა ამ გოლმა საპასუხო მატჩის წინ შანსები თითქმის გაათანაბრა

მურავ ფოლადაშვილის ფოტო

ამერი VS ბორჯომი

კურორტელებს თბილისში აქამდე არასდროს მოუგიათ. გაგრძელდება თუ არა ტრადიცია?

დღეს: თბილისი. „ამერი“. 16 საათი

მარსელ დესაის შეგონება

თუ ქვეყნის ჩემპიონატი არ ვარგა, კონკურენტუნარიან ნაკრებს ვერ შექმნი

ბაჩო სვანიძის ინტერვიუ ფრანგ მსოფლიოს ჩემპიონთან



ქირავდება

საოფისე ფართი რუსთაველზე

I გინა 86 მ² - 800$ კოსტავას 6

II გინა 99 მ² - 900$ კოსტავას 6

საოფისე ფართი ოპერაციების მოედანთან

75 მ² ევროპარემონტით 600$ უშაგინის 6

მობ. 895 22 91 22

ლუის ვან გაალი ფავორიტია, მაგრამ...

სიაში ოცზე მეტია, რეალური შვიდი-რვაა

მომავალი კვირიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კონკრეტულ ნაბიჯებზე გადავა: საქმე ეხება ეროვნული ნაკრების თავკაცის მოძიებას. გუშინდლის შემდეგ დიდი არაფერი შეცვლილა, ფედერაციის სიაში 20-ზე მეტი მწვრთნელია, თუმც ზოგს მცირე შანსი აქვს. რეალურად 7-8 სპეციალისტის კანდიდატურა განიხილება — ასე გავიგეთ ფედერაციიდან.

ამ 7-8 კაცშია ჰოლანდიელი ლუის ვან გაალი და ხორვატი ბრანკო ივანკოვიჩიც, ვისთანაც ფედერაციას ჯერ არ უსაუბრია, მაგრამ ამ დღეებში აუცილებლად დაუკავშირდება. რაც შეეხება ვან გაალს, ჩვენი ინფორმაციით, ის ფედერაციის ნომერ პირველი ფავორიტია, თუმცა აქაც არის „მაგრამ"... დათანხმდება კი ის საქართველოს ვარიანტს? და თუ დათანხმდება, სავარაუდოდ, ჰოლანდიის თანაშემწე შოთა არველაძე იქნება.

სადღაც ერთ კვირაში ფართო სია გაიცხრილება და 2-3 მწვრთნელზე კონკრეტულ მოქმედებას დავიწყებთო, ამბობენ ფედერაციაში.

შევიტყვეთ, რომ სფფ-ის ხელმძღვანელობა რამდენიმე სპეციალისტს უკვე დაუკავშირდა, თუმც თავადვე ამბობენ, ტელეფონით არ გამოვა საქმის მოგვარება, შესაძლოა, გადაფრენა მოგვიხდეს ან აქ მოვიწვიოთ ესა თუ ის მწვრთნელიო.

და კიდევ, ზოგი მწვრთნელი აგენტის დახმარებით დაკავშირებია ფედერაციას და საკუთარი კანდიდატურა შეუთავაზებია.

მოკლედ, ვნახოთ, რა როგორ იქნება...

ილია ნანობაშვილი

ლილუაშვილმა ნიტრა აირჩია



ირაკლი ლილუაშვილი

ახალი ლეგიონერები აღმოვაჩინეთ სლოვაკეთში — ირაკლი ლილუაშვილი და გიორგი გამყრელიძე.

23 წლის ლილუაშვილი თავდამსხმელია, აქამდე თბილისის „მერანში", „ლოკომოტივსა" და „თბილისში" უთამაშია, ახლა კი სლოვაკეთის მესამეადგილოსან „ნიტრაშია" და 4 აპრილს დებიუტიც ჰქონდა — „სენეცთან" მატჩში (0:1) 81-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

„ნიტრამდე" ლილუაშვილი სლოვაკეთის მეორელიგელ „მიხალოვცეში" იყო, სადაც ახლა 21 წლის გამრეკლიძე ირიცხება. ლილუაშვილმა წინა სეზონის 13 მატჩში 7 გოლი გაიტანა და უმალ დაინტერესა უკეთესი კლუბები, რომელთაგან „ნიტრა" აარჩია.

კახა შალამბერიძე

ლომაიამ ოლიმპი გადაწყვიტა

საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლომაია ნახევარ წელიწადზე მეტია, უგუნდოდ იყო — იგი ბოლოს უკრაინულ „კარპატიში" თამაშობდა, თუმც იქაურებს მალევე დასცილდა. შემდეგ ფორმის შესანარჩუნებლად თბილისის „ვიტ ჯორჯიაში" ვარჯიშობდა.

ორი დღეა, ლომაია რუსთავის „ოლიმპში" ვარჯიშობს და, სავარაუდოდ, სეზონს იქ ჩაამთავრებს. გუშინ ამ საკითხზე „ოლიმპის" მთავარ მწვრთნელ ხვიჩა ქასრაშვილს ვკითხეთ:

„გიორგი ჩვენთან ვარჯიშობს. შეთანხმება მიღწეულია, „ოლიმპთან" კონტრაქტის გაფორმებას კი სატრანსფერო ფურცლის ჩამოუსვლელობა აფერხებს და მივიღებთ თუ არა ამას „კარპატიდან", ლომაიას განაცხადში შევიყვანთ".

ნუგრი ლოლაძე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა დაბადების დღეს ულოცავს ამაგდარ მწვრთნელს ჯემალ გაბისონიას

დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

ნახევარფინალი. პირველი მატჩი. დღეს

თბილისი. 9 აპრილი. 16 საათი. ამერი

ამერი — ბორჯომი

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, ზ. ჯვარიძე, ბ. ჭიჭინაძე, ლ. ფანიაშვილი

უცნობი მეტოქე ნაცნობ გზაზე

საქართველოს თასის ნახევარფინალის მეორე წყვილი „ამერი" — „ბორჯომია". ეს გუნდები თასზე პირველად გადაეყარნენ ერთმანეთს, ჩემპიონატში კი რვაჯერ შეხვედრიან: ორჯერ პირველ ლიგაში, 6-ჯერ — უმაღლესში.

ამ 8 შეხვედრიდან „ამერმა" 5-ჯერ იმარჯვა, 3-ჯერ კი დამარცხდა. სამივე მარცხი „ჯემალ ზეინკლიშვილზე" იწვნიეს თბილისელებმა.

საქართველოში „ამერი" უკვე სათასო გუნდად მოინათლა — ბოლო ორი სეზონია, თასს არავის უთმობს და ახლაც ორ ნაბიჯშია მიზანთან.

ერთი შეხედვით, ფავორიტად გიორგი ჩიხრაძის გუნდი ჩანს, თუმც კურორტელებიც არ არიან ხელწამოსაკრავნი და ადვილად არაფერს დათმობენ. ეს რომ ასეა, ბოლოს გლდანში გამართულმა საჩემპიონატო მატჩმაც დაადასტურა — ამერელებმა გამარჯვების გოლის გატანა ბოლო წუთზეღა მ. ახერხეს. ის მატჩი „ამერმა" 3:2 მოიგო.

იმ თამაშში გამოსარჩევი იყო ბორჯომელი გიორგი მეგრელაძის ბრწყინვალე გოლიც. ოღონდ, მეგრელაძე დღეს ვლადიმერ ხაჩიძის გუნდს ტრავმის გამო ვერ დაეხმარება.

თბილისელებს ევროთასზე გასასვლელი გზა ჩემპიონატში მოჭრილი აქვთ და ამას თასის მოგებით ცდილობენ. ბორჯომელებს კი უმაღლესი ლიგიდან გავარდნა არ ემუქრებათ და მთლიანად თასზე აქვთ გადატანილი ყურადღება.

ამერელები ალბათ მსუყე ანგარიშით მოგებას ეცდებიან, რადგან საპასუხო შეხვედრა ბორჯომშია და, ზემოთაც ვთქვით, რომ „ჯემალ ზეინკლიშვილზე" თამაში მათ ტრადიციულად უჭირთ.

გუშინ ორივე გუნდის მთავარ მწვრთნელებს, გიორგი ჩიხრაძეს და ვლადიმერ ხაჩიძეს გავესაუბრეთ...

გიორგი ჩიხრაძე

— რას იტყვით მეტოქეზე?

— ნახევარფინალში სუსტი მეტოქე არ არსებობს — „ბორჯომი" ნორმალური გუნდია და დიდი ბრძოლების გადატანა მოგვიწევს.

— გუნდში როგორი განწყობაა?

— ნორმალური... ყველა ფეხბურთელი ჯანზეა და სერიოზულად ემზადება მომავალი მატჩისთვის.

— „ამერმა" ზედიზედ ორჯერ მოიგო საქართველოს თასი და წლეულს ალბათ გასამმაგებას აპირებთ...

— ჯერ „ბორჯომი" უნდა გავიაროთ და ფინალში გავიდეთ. „ამერი" ყოველთვის მაქსიმუმის მიღწევას ცდილობს და, რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანი თასის აღებაა.

ვლადიმერ ხაჩიძე:

— როგორი განწყობაა „ბორჯომში" „ამერთან" მატჩის წინ?

— სერიოზულად ვემზადებით... ერთი ეგ არის, ტრავმები მოგვეძალა...

— ვინ დაგაკლდებათ?

— „ამერთან" ვერ ითამაშებენ სოსო გრიშიკაშვილი, შოთა გრიგალაშვილი, ირაკლი ჩირიკაშვილი და გიორგი მეგრელაძე. მოგეხსენებათ, ისინი რა ძალას წარმოადგენენ „ბორჯომისთვის", თუმცა რას ვიზამთ, ახალგაზრდებით მოგვიწევს ფონს გასვლა.

— მეტოქეზე რას იტყვით?

— გიორგი ჩიხრაძის გუნდი ძალიან გამოცდილია — „ამერი" ხომ ორი სეზონია, თასს არავის უთმობს.

— შანსს როგორ შეაფასებთ?

— თბილისელები არიან ფავორიტები, თუმცა ჩვენ ჩვენსას ვეცდებით.

ნუგრი ლოლაძე

რუს-ქართული ნომინაციები

რუსეთში მოთამაშე ქართველებიდან იქაურმა სპეციალისტებმა ყაზანის „რუბინის" ფეხბურთელები, ლაშა სალუქვაძე და დავით კვირკველია გამოარჩიეს.

კვირკველია საუკეთესო მარცხენა მცველების ნომინაციაში არმიელ ალექსეი ბერეზუცკისთან ერთად 5,88 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფს. ხოლო სეზონის ახალწვეულებს შორის მეხუთე ადგილზეა.

სალუქვაძეს კი „ტომთან" მატჩის შემდეგ თამაშების საკმარისი რაოდენობა დაუგროვდა და საშუალოდ 6,0 ქულით ცენტრალურ მცველებს შორის მხოლოდ მოსკოვის დინამოელთა არგენტინელ მცველ ლეანდრო ფერნანდესს (6,13) ჩამორჩება.

საუკეთესოთა შორის აღარ არის „ლუჩ-ენერგიას" ნახევარმცველი ლევან გვაზავა, რომელიც „ერილიასთან" მატჩში დაბალი შეფასება მიიღო.

მიხეილ ჟორჟოლიანი

დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

ნახევარფინალი. პირველი მატჩი. გუშინ

სლოვაკი მიროშ კრშკო და გბონელი ერნესტ აკუასაგა

გუშინ დილინჯაგვილის ფოტო

თბილისი. 8 აპრილი. 16.15 საათი. ეროვნული

დინამო 1:1 ზესტაფონი

0:1 გოცირიძე (51), 1:1 ვანაძე (65)

დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, გველესიანი, დიღმელაშვილი, ხმალაძე, ოდიკაძე (სპასოევიჩი 58), ხუციშვილი (აკირემი 78), გ. მერებაშვილი, ვანაძე	**ზესტაფონი:** ჭანტურია, ს. თოდუა, საჯაია, უ. ლობჟანიძე (ბონანიძე 85), რ. ონიანი, აკუასაგა, ვიეირა (დაუშვილი 81), ნ. კვასხვაძე (ბიტორო 66), კესანი, გ. ხიდეშელი, ბ. გოცირიძე
სათადარიგონი: ლორია, ნერგაძე, თომაშვილი, გ. კაშია, დობეში	**სათადარიგონი:** რ. კვასხვაძე, ჟონატასი, გელაშვილი, შ. ღონღლაძე
მწვრთნელი: დუშან უბრინი	**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

გაფრთხილება: ვიეირა (10), ხიდეშელი (52), ლობჟანიძე (62), ხიდეშელი (90)

გაძევება: კრშკო (55), ხიდეშელი (90)

მსაჯები: ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი, ლ. მიქელაძე, ლ. კვარაცხელია

დამკვირვებელი: ა. ბაჩუკაშვილი; **დელეგატი:** პ. ბურჯალიანი

გაბონური სამსახური

რა მიაქვს დინამოს ზესტაფონში

მიხეილ ჟორჟოლიანი

ამათგან ერთი 26 მაისს „ეროვნულზე" ითამაშებს ვინ, ამას უკვე ზესტაფონური მატჩი გადაწყვეტს.

გუშინდელი შეხვედრიდან გამოდგინარე, მოგებას სტუმრები უფრო იმსახურებდნენ — იმერლებმა თითქმის ყველა კომპონენტში დაჩაგრეს შეტოქე. „დინამო" კი გაბონელებმა იხსნეს — მისმა მეკარე დიდიე ოვონომ და ზესტაფონელთა მცველმა ერნესტ აკუასაგამ.

თამაშის პირველი ნახევარი საათი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, გუნდები უფრო ფრთხილობდნენ. მერე ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ „დინამო" დაიღალა, განსაკუთრებით ცენტრალური მცველები, ნედ ზელიჩი და მილოშ კრშკო. ახალგაზრდა, სხარტი ბექა გოცირიძე გამუდმებული მოძრაობით მათ სიქას აცლიდა. ისინიც იძულებულნი იყვნენ, ტაქტიკურად ემოქმედათ და ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობების შექმნას ცდილობდნენ, რაც მშვენივრად გამოსდიოდათ, მაგრამ რამდენჯერმე ბექა გოცირიძე მაინც გაეპარათ და ეს ერთხელ გოლად, ერთხელ კი წითელ ბარათად დაუჯდათ...

ეს ყველაფერი მეორე ტაიმში მოხდა, პირველში კი გამოსარჩევი ნიკა კვასხვაძის ოციოდ მეტრიდან გასროლილი იყო, რომელიც ოვონომ დიდი გაჭირვებით მოიგერია კუთხურზე. დაგვამახსოვრდა ჟილვან ვიეირას დარტყმულიც — მართალია, ბურთი მეკარეს პირდაპირ ხელებში მიუვიდა, მაგრამ იმდენად ძლიერად, რომ ოვონომ მისი დაჭერა ვერ მოახერხა.

მეორე ტაიმში ზესტაფონელთა პირველივე სწრაფი შტურმა გოლით დამთავრდა.

საგოლე კომბინაცია ისე შესრულდა, თანამედროვე ფეხბურთს რომ შვენის — გოცირიძემ თავის ნახევარზე მეტოქეს ბურთი აართვა და იქვე მდგომ პოლ კესანს გადააწოდა, თავად კი კარისკენ დაიძრა, „დინამომ" ხელოვნურის შექმნა სცადა, კესანმა ოდნავ შეაყოვნა და მცველებს ამოსვლა აცალა, რითაც მარჯვნივ გზა კვასხვაძეს გაეხსნა, გაბონელმაც პასი არ დაუგვიანა, ნიკამ საჯარიმომდე ბურთიანად ირბინა და კარისკენ ჩააწოდა, სადაც ბურთს კესანი კი ასცდა, მაგრამ კომბინაციის წამომწყები გოცირიძე დახვდა და გატანა აღარ გასჭირვებია.

ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, „დინამოს" მცველებმა აზრზე მოსვლა ვერ მოასწრეს.

55-ე წუთზე გოცირიძე ამჯერად კრშკოს დაუსხლტა და სლოვაკი მცველი იძულებული გახდა, ბოლო იმედის ჯარიმით წაექცია — წითელი ბარათი და „დინამოს" საფინალო გზა კიდევ უფრო იბურება.

პირველი სახიფათო მომენტი „დინამომ" 58-ე წუთზე შექმნა, რომელიც სტანდატრულ სიტუაციას მოჰყვა — კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი მცველებმა პირდაპირ ოლეგ გველესიანისკენ აიტანეს, დინამოელმაც საჯარიმოს გარედან უძლიერესად დაარტყა და მცირე მანძილით ააცილა კარს.

მალევე „დინამოც" გადარჩა — ჩია გოცირიძემ თავით დაუგდო ბურთი ვიეირას, რომელიც ოვონოსთან პირისპირ იყო, მაგრამ უხეიროდ დაარტყა.

64-ე წუთზე მასპინძელთა საფინალო შანსები აკუასაგამ გაზარდა. ზესტაფონელთა მარცხენა მცველი თავის ფლანგზე უხეშად შეცდა და ილია სპასოევიჩი თავისუფლად შეავიდა საჯარიმოში, დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო — პასი მათე ვაწაძეს და 1:1.

გოლამდე თავდასხმაში მარტო მყოფი ვაწაძე ზესტაფონელ მცველებში ჩაკარგული იყო, ბოლოსკენ დუშან უბრინმა ჟორჟ აკირემიც შეუწყვილა, მაგრამ ამით „დინამოს" შეტევებს სიმწვავე არ შემატებია, პირიქით, სამჯერ იქით გადაურჩნენ გოლის გაშვებას.

79-ე წუთზე გოცირიძე ისევ გაეპარა დინამოელებს და მეკარესთან პირისპირ დარჩა, საჯარიმოს გარეთ გამოსულმა ოვონომ ცენტრალური მცველივით ითამაშა და თავდამსხმელს ძალისმიერ ბრძოლაში აართვა ბურთი.

თემურ მახარაძე მიხვდა, რომ „დინამოს" მცველები დაიღალნენ, ზურაბ იონანიძე შეუშვა და „იონიადაც" დაიწყო — ჯერ ტექნიკურად რთული ფინტით გველესიანს ლამაზად გასცდა და საჯარიმოში შესულს მიზანმა უმტყუნა, ბოლო წამზე კი მიზანი გაისწორა, საჯარიმოს გარედან ძლიერად და ეფექტურად დაარტყა, თუმცა ოვონო არანაკლებ ეფექტურად გაისარჯა და გუნდი მარცხს გადაარჩინა.

ბექა გოცირიძის (№10) გოლი

ფოტო ფოტოგრაფ ალექსანდრ ალექსიძისა

რევიშვილს 20 აპრილი უფიქრობს

ჩემპიონობა ძნელია, უეფა ადვილია

ნუკრი რევიშვილი ამჟამად ყაზანშია, მკურნალობის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს გადის და 20 აპრილიდან გუნდთან ერთად დაიწყებს ვარჯიშს. ფეხის ტრავმის გამო ნუკრიმ ჩრდილოეთ ირლანდიასთან სანაკრებო მატჩი რომ გამოტოვა, იმ დროს გერმანიაში გახლდათ საოპერაციოდ...

— ჯერჯერობით, მხოლოდ დარბივარ, „რუბინს" კი 20 აპრილს შეეჯერთდები. აი, თამაში როდის მომიწევს, მიძნელდება ამის თქმა, — გვითხრა რევიშვილმა, რომელსაც გუშინ ყაზანში გავუკავშირდით.

— თამაში როდის მომიწევსო, რატომღაც მოწყენილმა თქვი...

— არა მგონია, მწვრთნელმა ძირითადი შემადგენლობა შეცვალოს. „რუბინმა" ხომ ოთხი მატჩიდან ოთხივე მოიგო და 12 ქულით ლიდერობს პრემიერლიგას.

— მართლაც, ცოტა უცნაურია „რუბინის" ასეთი სტარტი, მუხედავად იმისა, რომ რამდენიმე კარგი ფეხბურთელი შეიძინა გუნდმა...

— შემადგენლობით აშკარად გავძლიერდით, შარშანდელთან შედარებაც არაა, თუნდაც დავით კვირკველია ავიღოთ — მშვენივრად შეეწყო „რუბინს", ისევე, როგორც სხვა ახალწვეულები.

— რა მიზნები აქვს „რუბინს" პრემიერლიგაში?

— უეფას თასის საგზურის მოპოვება. არა მგონია, ეს გაჭირდეს.

— ჩემპიონობა?

— ძალიან ძნელი იქნება. „სპარტაკი", „ზენიტი" და სხვა გრანდები რომ ფორმაში შევლენ, პირველი ადგილის შენარჩუნება გაძნელდება.

— „რუბინი" მოსკოვური გუნდი რომ არაა, ამიტომ რაიმე ზეწოლა იგრძნობა?

— არა, ეს არ გვიგრძვნია. არც „ზენიტია" მოსკოვური, მაგრამ ჩემპიონი გახდა.

ილია ნანობაშვილი

დვალ-დუბლი მოლდოვაში

მოლდოვის ჩემპიონატში ჯაბა დვალისა და ლევან კორღალიძის „დაჩიამ" შინ 2:2 ითამაშა „ნისტრუსთან", ორივე გოლი დვალმა გაიტანა 45-ე და 48-ე წუთებზე, რითაც მოლდოვის პირველობაზე თავისი გოლების რაოდენობა ექვსამდე აიყვანა.

„დაჩია" მეორე ადგილზეა და 8 ქულას აგებს ვაჟა თარხნიშვილისა და ძმები ხორგუაშვილების „შერიფთან".

ზინედინ ზიდანი და მარსელ დესაი მსოფლიოს ჩემპიონობას ზეიმობენ

ბიბლიოთეკა

მარსელ დესაის ქართველები და საქართველო

თუ ქვეყნის ჩემპიონატი არ ვარგა, კონკურენტუნარიან ნაკრებს ვერ შექმნი

მარსელ დესაი

დაიბადა 1968 წლის 7 სექტემბერს აკრაში (განა)

კლუბები:

1986-92	ნანტი (საფრანგეთი)	164 მატჩი,	5 გოლი
1992-93	მარსელი (საფრანგეთი)	57	2
1993-98	მილანი (იტალია)	164	7
1998-07	ჩელსი (ინგლისი)	191	6
2004-05	ალ გარაფა (ყატარი)	28	15
2005-06	ყატარი (ყატარი)	7	0

საფრანგეთის ნაკრებში: 116 მატჩი, 3 გოლი

რა შეიძლება ინატროს ღარიბ აფრიკულ ქვეყანაში დაბადებულმა ზანგმა ბიჭუნამ? ძალიან იოლია ამის გამოცნობა: ითამაშოს ფეხბურთი, წავიდეს ევროპაში, მოიგოს ჩემპიონთა ლიგა, კონტინენტის ჩემპიონატი, მსოფლიოს ჩემპიონატი!.. ეს ოცნება ოცნებადვე რჩება მილიონებისთვის, მაგრამ არიან ისეთებიც, სულ სამაგალითო სპორტსმენები, ვინც ოცნების ცა გადაიფრინეს და გამარჯვების მიწაზე დადგეს ფეხი. წარმოშობით განელმა მცველმა მარსელ დესაიმ ყველა საფეხურის გავლა შეძლო, მოიგო ჩემპიონთა ლიგა ჯერ ფრანგულ „მარსელში", შემდეგ იტალიურ „მილანში", საფრანგეთის ნაკრებში გახდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, შემდეგ ინგლისური ფეხბურთიც დააგემოვნა და მას ყველაზე სანახაობრივი და გიჟური უწოდა... დღეს დესაი აღარ თამაშობს. საფეხბურთო კიბის ბოლოში მდგომი სხვებს ეხმარება თამაშის დაწყებაში და ასე უბრუნებს ვალს ბუნებას. შექმნა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, რომლის წევრიც ყოფილი ქართველი მორაგბე ილია მაისურაძეც გახლავთ და ლეგენდარულ ფეხბურთელთან ეს ინტერვიუც სწორედ მისი დახმარებით შედგა...

— რაც თამაშს თავი დაანებეთ, რას საქმიანობთ?

— ჩემი ბიზნესი მაქვს, გარდა ამისა, განაში საქველმოქმედო ფონდს ვხელმძღვანელობ. მიუსაფარი ბავშვები სპორტის სხვადასხვა სახეობაზე შეგვყავს და მათ მოვლა-პატრონობას ვკისრულობთ. გეცოდინებათ, ჩვენი ფონდი საქართველოშიც იწყებს პროექტს, რომელსაც თქვენი მორაგბეთა ნაკრების ყოფილი წევრი ილია მაისურაძე უხელმძღვანელებს. ილიას ვიცნობ, „ნანტის" კაპიტანი იყო და შარშან ქალაქის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს. მეც ნანტელი ვარ, ვიცი, რამდენი ტიტულიანი სპორტსმენია ამ ქალაქში, მაგრამ ილია იმსახურებდა ასეთ აღიარებას. სხვათა შორის, თქვენთან განსახორციელებელი პროექტის ერთ-ერთი დონორი მეც ვარ.

— ილია მაისურაძე ზაფხულში აპირებს ფონდის პრეზენტაციას, თქვენ ჩამოხვალთ საქართველოში?

— ზუსტად არ ვიცი. მაისში ილიას ნანტში უნდა შევხვდე და იქ გაირკვევა, ჩამოვალ თუ არა. მეც ჩემი პირადი საქმეებიც მაქვს და თუ საქართველოში ფონდის პრეზენტაცია ჩემს მოცალეობას დემთხვევა, აუცილებლად ჩამოვალ. ახლა განაში ვარ, სადაც ჩემი მრავალრიცხოვანი ოჯახი ცხოვრობს.

— განაში ცხოვრობთ?

— მე არა, ჩემი მშობლები და და-ძმები. მე ხომ აქაური ვარ და დიდ დროს ამ მართლაც საოცარ ქვეყანაში ვატარებ.

— განაში აფრიკის ეროვნებათა თასის მატჩებსაც ნახავდით.

— რა თქმა უნდა, და, ცხადია, განას დიდად ვქომაგობდი. სამწუხაროდ, განამ დასანანად წააგო ნახევარფინალი, არადა, ჩემი აზრით, საჩემპიონო გუნდი ჰყავდა.

— ესე იგი, ეგვიპტემ დაუმსახურებლად მოიგო ტურნირი?

— არა, არა, ეს არ მითქვამს. პირიქით, ეგვიპტემ მთელი ტურნირი სტაბილურად ითამაშა და საკმაოდ ძლიერ კამერუნს მოუგო ფინალი. მეტს ველოდი კოტ დივუარისგან, თუმცა, დარწმუნებული ვარ, თუ კოტ დივუარი მომავალ მსოფლიოს თასზე ითამაშებს, ძალიან ბევრს გაამწარებს და სიურპრიზებსაც შემოგვთავაზებს. საერთოდ, აფრიკული ფეხბურთი დამალული განძივითაა, რომლის სრულად პოვნა ჯერ ვერავინ შეძლო. დააკვირდით, ყოველ მსოფლიოს ჩემპიონატზე ახალი აფრიკული ნაკრები იფეთქებს ხოლმე. მერე ამ ქვეყანაში ფეხბურთი ვითარდება და დანარჩენ მსოფლიოს მძლავრ კონკურენციას უწევს. ვფიქრობ, რომ აფრიკა მსოფლიო ფეხბურთის დაუმუშავებელი მარგალიტია.

— მომავალ მსოფლიოს თასზე კოტ დივუარი სიურპრიზებს შემოგვთავაზებსო, თქვით. კიდევ რომელი აფრიკული ნაკრებისგან ელით სიურპრიზებს?

— ჯერ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური უნდა მოიპოვონ... თუმც ვფიქრობ, რომ კოტ დივუარს, კამერუნს, განას და ეგვიპტეს ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლიათ. აფრიკის თასზე ძალიან მომეწონა მალის ნაკრები. სელექციონერი არ ვარ და გვარები არ დავიმახსოვრე, მაგრამ ძალიან კარგი ნახევარმცველები ჰყავთ. ჩემი აზრით, ევროპულმა კლუბებმა გაცილებით მეტი ინტერესი უნდა გამოიჩინონ აფრიკული ფეხბურთისადმი, რადგან იქ ამოუწურავი რესურსი და უამრავი ტალანტია.

— მოდით, ევროპულ ფეხბურთზე გადავიდეთ. რა იყო 1998-2000 წლების საფრანგეთის „ოქროს ნაკრების" წარმატების საფუძველი?

— მაშინდელ შემადგენლობას გადავხედოთ, თითქმის ყველა საკლუბო გრანდში ვთამაშობდით და გვქონდა გამარჯვებულის მენტალიტეტი. ეს უმთავრესი თუ არა, წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. გარდა ამისა, მართლაც ვარსკვლავური გუნდი გვყავდა. ამას დაუმატეთ ზინედინ ზიდანი, რომელიც ყველა ვარსკვლაზე მაღლა დგას და ტაქტიკოსი მწვრთნელი ემე ჟაკე. ჟაკემ გვასწავლა, რომ საჭირო დროს პრაგმატულად უნდა გვეთამაშა. ამით ჩვენ 1982 წლის საფრანგეთის ნაკრების შეცდომა აღარ გავიმეორეთ. 2000 წელს კი როჟე ლემერმა თითქმის არაფერი შეცვალა, ჟაკეს გზა გააგრძელა და აწყობილი გუნდი ევროპის ჩემპიონი გახადა. მართლაც საოცარი გუნდი იყო, ლამაზ ფეხბურთსაც ვთამაშობდით და შედეგიც გვქონდა.

— არაერთხელ თქმულა, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში რონალდო ჯანზე რომ ყოფილიყო...

— ეგ ყველაფერი ვარაუდია, არ ვიცი, მართლა შეუძლოდ იყო თუ არა, მაგრამ მერწმუნეთ, ჩვენი გამჩერებელი ათი რონალდოც არ იყო.

— მოდით, თქვენი კარიერა მარსელის „ოლიმპიკში" გატარებული წლებითაც გავიხსენოთ. ჩემპიონთა თასი პირველად სწორედ ამ გუნდთან ერთად მოიგეთ, თუმც იმ სეზონს დიდი სკანდალი მოჰყვა და „ოლიმპიკი" საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩების ჩაწყობაში ამხილეს...

— ამ თემაზე საუბარი არ მსურს, რადგან ჩვენ თამაშების ჩაწყობა არ გვჭირდებოდა. გადახედეთ „მარსელის" მაშინდელ შემადგენლობას: კანტონა, ფუტრე, ფიოლერი, ანგლომა, დეშანი, ბოლი... მაშინდელი „მარსელი" მართლაც დიდი გუნდი იყო, საფრანგეთის ჩემპიონობაც და ჩემპიონთა თასიც დამსახურებულად მოიგო.

— როდესაც „მარსელის" მაშინდელი შემადგენლობა ჩამოთვალეთ, თქვენი თავი გამოგრჩათ...

— საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს.

— მომდევნო სეზონში უკვე „მილანის" შემადგენლობაში მოიგეთ თქვენთვის მეორე ჩემპიონთა თასი. რომელი სეზონი უფრო მნიშვნელოვანი იყო თქვენთვის?

— „მილანთან" ერთად მოგებული ჩემპიონთა ლიგა განსაკუთრებით ღირსსახსოვარია ჩემთვის. ჯერ ერთი, უდიდეს გუნდში ვთამაშობდი და მეორე, ლიგის ფინალში იოჰან კრუიფის გაწვრთნილი „ბარსელონა" გავანადგურეთ. მაშინ რომარიოს და სტოიჩკოვის ტანდემი ერთ-ერთი საუკეთესო იყო





ფაბიო კაპელო
და მარსელ დესაი

მსოფლიოში, მაგრამ ჩვენ ფეხი არ გავანძრევინეთ. პირიქით, მცველმა გოლიც კი გავიტანე, თანაც საკმაოდ ლამაზი...

— „მილანში" გატარებული დრო საუკეთესო პერიოდი იყო თქვენს კარიერაში?

— ალბათ, რადგან საოცრად შეკრული გუნდი გვყავდა და ლამაზ ფეხბურთს ვთამაშობდით. თანაც მილანი განსაკუთრებული ქალაქია, გამორჩეული ხიბლი აქვს.

— მაშინდელ მილანელებთან მეგობრობთ?

— პაოლო მალდინი, ზვონიმირ ბობანი, დეიან სავიჩევიჩი, ფრანკო ბარეზი ჩემი მეგობრები არიან. ვერ ვიტყვი, რომ ხშირი კონტაქტი გვაქვს, მაგრამ ერთმანეთს ვურეკავთ და ამბებს ვიგებთ.

— „მილანში" ქართველი კახა კალაძე თამაშობს...

— კალაძე „მილანის" და საერთოდ ევროპული ფეხბურთის გამორჩეული მცველია. მალდინის წასვლის შემდეგ ალბათ ის გახდება „მილანის" დაცვის ლიდერი, რადგან ნესტა აშკარად არ არის ფორმაში. კალაძემ არაერთხელ დაამტკიცა, რომ მაღალი დონის ფეხბურთელია. „მილანში" საუკეთესო წლები გამიტარებია და ვიცი, ამ კლუბში სტაბილურად და დიდხანს ნამდვილი პროფესიონალის გარდა ვერავინ ითამაშებს. უბრალოდ, არ გაგაჩერებენ.

— ვინ მიგაჩნიათ ყველა დროის საუკეთესო მცველად?

— არ ვიცი. რთული კითხვაა... ყოველი შემთხვევისთვის. მე ნაღდად არ ვარ საუკეთესო. სერიოზულად ,კი ფრანკო ბარეზი, ფრანც ბეკენბაუერი, მათიას ზამერი, კარლოს ალბერტო, ფერნანდო იერო, პაოლო მალდინი... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და ერთს ვერავის გამოვარჩევ.

— ამ დროისთვის ვინ მიგაჩნიათ საუკეთესო მცველად?

— რასაც ვუყურებ, ფაბიო კანავარო საუკეთესოა თავის პოზიციაზე.

— მოდით, ისევ თქვენს საკლუბო კარიერას დავუბრუნდეთ. „ჩელსიში" გატარებულ დროს როგორ გაიხსენებთ?

— დიდებული ფეხბურთელების გვერდით ვთამაშობდი. დენის უაიზი, ჯანლუკა ვიალი, ჯანფრანკო ძოლა... სხვათა შორის, სწორედ ჩვენი გუნდით დაიწყო „ჩელსის" აღორძინება.

— „ჩელსიში" მაშინ ქართველი რატი ალექსიძეც ირიცხებოდა...

— სამწუხაროდ, კარგად ვერ ვიხსენებ რომელი იყო. ისე, მახსოვს, რომ ქართველი ფეხბურთელი გვყავდა.

— თქვენ გითამაშიათ საფრანგეთის, იტალიისა და ინგლისის ჩემპიონატებში. რომელი ქვეყნის ჩემპიონატი მიგაჩნიათ საუკეთესოდ?

— ჩემს დროს საფრანგეთის ჩემპიონატი კონკურენტუნარიანი არ იყო და ახლაც ჩამორჩება წამყვანი ევროპული ქვეყნების ჩემპიონატებს. იტალიაში ტაქტიკური ბრძოლა მიმდინარეობს, ესპანეთში უფრო სანახაობრივი ჩემპიონატია, ინგლისში კი სრული საგიჟეთია. ასეთი ტემპი არსად მინახავს. მახსოვს, „ჩელსიში" პირველი მატჩი რომ ვითამაშე, ფეხბურთელები და ბურთი ისე დაწუილებდნენ, თვალს ძლივს ვაყოლებდი. ნამატჩევს განძრევის თავი აღარ მქონდა დაძაბულობით, ტემპით და სანახაობრივადაც ალბათ ინგლისური პრემიერლიგა საუკეთესოა. თანაც ახლა ინგლისურ კლუბებში ბევრი მსოფლიო დონის ვარსკვლავი თამაშობს.

— ბევრ ტიტულიან მწვრთნელთან გიმუშავიათ. მომავალში თქვენც აპირებთ მწვრთნელობას?

— არა მგონია, რადგან ამისთვის სამწვრთნელო კურსებზე უნდა იარო და მუდმივად თვალი ადევნო ფეხბურთის განვითარებას. ახლა ჩემი პირადი საქმეებით ვარ დაკავებული და ამიტომ საკმაო დროც გამიცდა. ჯერჯერობით მწვრთნელობას არ ვაპირებ, მომავალში კი ვნახოთ...

— ვისთანაც გიმუშავიათ, რომელ მწვრთნელს გამოარჩევდით?

— ფაბიო კაპელო მართლაც განსაკუთრებულია, ის ყოველთვის ფორმაშია. როდესაც კაპელო უმუშევარია, მაშინაც კი ზის და თავის ჩანაწერებს ჩასცქერის. მისთვის ფეხბურთი ყოველდღიური ცხოვრებაა. ძალიან მიკვირს, რატომ დაიკარგა ჯანლუკა ვიალი როგორც მწვრთნელი. მან „ჩელსი" კრიზისიდან გამოიყვანა და თასების თასიც მოაგებინა. ისე კი, ჩემთვის უდიდესი მწვრთნელი ემე ჟაკეა. ჟაკემ ფრანგულ ფეხბურთს ძველი დიდება დაუბრუნა და საფრანგეთი ისევ მსოფლიო ფეხბურთის გრანდებში დააწინაურა. მანამდე სანაკრებო კრიზისი გვქონდა.

— სხვათა შორის, საქართველოს ნაკრებსაც კრიზისი აქვს და რადგან კრიზისი ახსენეთ, ალბათ 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანების დასაწყისს გულისხმობდით. თქვენი აზრით, რა იყო ამის მიზეზი?

— მე არ ვიცი, რატომ აქვს საქართველოს ნაკრებს კრიზისი, მაგრამ გეტყვით, რა იყო ფრანგული ფეხბურთის ჩავარდნის მიზეზი. 1984 წელს, როდესაც საფრანგეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი მოიგო, მაშინ ჰყავდა ფანტასტიკური ფეხბურთელები. მერე კი საფრანგეთის ჩემპიონატში საკლუბო კრიზისი დაიწყო და ნაკრებს კვალიფიციური ფეხბურთელების დეფიციტის პერიოდი დაუდგა. თუ ქვეყნის ჩემპიონატი არ ვარგა, თანამედროვე ფეხბურთში კონკურენტუნარიან ნაკრებს ვერ შექმნი. მაღალი მიზნებისთვის ბრძოლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. თუ აკვირდებით, ახლა დიდი კლუბები თითო-ოროლა ტალანტს ყიდულობენ, დიდ ფულს კი უკვე ჩამოყალიბებულ ფეხბურთელებში იხდიან. აქედან გამომდინარე, თუ ფეხბურთელი თავისი ქვეყნის ჩემპიონატში ვერ დაოსტატდა, კარგ კლუბში ვერ გადავა. მეორე და მესამეხარისხოვან გუნდში თამაშით კი ბევრს ვერაფერს შეიძენს, რადგან ევროთასებზე ძლიერ გუნდებთან არ მოუწევს ხშირი თამაში, არ ეყოლება პარტნიორი, ვისგანაც ისწავლის დიდი ფეხბურთის თამაშს, არ ჩამოუყალიბდება გამარჯვებულის მენტალიტეტი. თვით ბრაზილიაშიც კი, სადაც უთვალავად ჰყავთ მსოფლიო დონის ლეგიონერები, მიხვდნენ, რომ ქვეყნის ჩემპიონატის აღორძინების გარეშე არაფერი გამოუვათ. ახლა საფრანგეთის ჩემპიონატი ნელ-ნელა კონკურენტუნარიანი ხდება. ადრე სეზონიდან სეზონამდე ერთი გუნდის ტურნირი იყო. ჩემპიონი ისე ხდებოდა „მარსელი", პსჟ ან „ლიონი", რომ კონკურენტი არც ჰყოლიათ. ძალიან მომწონს „ლიონის" საკადრო პოლიტიკა. სეზონის ბოლოს სამ-ოთხ მოთამაშეს გრანდებს ათეულ მილიონებად მიჰყიდის და სანამ გაყიდის, მათ ადგილას უკვე ჰყავს კვალიფიციური მოთამაშე. საფრანგეთში საკლუბო ფეხბურთი და ჩემპიონატი რომ განვითარდა, ნაკრებსაც ეტყობა და აღარც საკადრო პრობლემებია.

— საქართველოში ძალიან დაბალი დონის ჩემპიონატია, მაგრამ ნაკრებში ოთხ-ხუთი ევროპული დონის მოთამაშეა. კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი, ზურაბ ხიზანიშვილი, მალხაზ ასათიანი, შოთა არველაძე... თანაც ნაკრებს გერმანელი კლაუს ტოპმოლერი წვრთნიდა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენები ბოლოსწინა ადგილზე გავიდნენ. ამ კონტინგენტით შეიძლებოდა უკეთესი ადგილის დაკავება?

— იშვიათად, მაგრამ ხდება, როდესაც საშუალოზე დაბალი დონის გუნდიც აღწევს წარმატებას, ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატებზე თამაშობს. ფეხბურთი ამიტომაც არის საინტერესო და უპოპულარულესი თამაში. მე არ ვიცი, რა პრობლემები აქვს საქართველოს ნაკრებს. მარსელში საფრანგეთი — საქართველოს მატჩი ვნახე და იმ შეხვედრით ძნელია გუნდზე შთაბეჭდილების შექმნა. კლაუს ტოპმოლერი მაღალკვალიფიციური მწვრთნელია, საშუალო გაქანების „ბაიერი" ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც გაიყვანა, მაგრამ ნაკრებს სხვა სპეციფიკა აქვს... მე მწვრთნელებს ორ კატეგორიად ვყოფ — საკლუბო და სანაკრებო. კლუბში მომუშავე მწვრთნელს ყოველთვის აქვს უპირატესობა. მაგალითად, თუ თავდამსხმელი ან მცველი გამოაკლდა, მას შეუძლია, ნებისმიერი ქვეყნის მოთამაშე იყიდოს და დანაკლისი შეავსოს. ნაკრებში კი უცბად ვერ გადაჭრი ამ პრობლემებს. ჩვენ ისე გავხდით მსოფლიოს ჩემპიონები, რომ პრაქტიკულად თავდამსხმელი არ გვყოლია. კრისტოფ დიუგარი და სტეფან გივარში ფორმაში არ იყვნენ. ანრი კი ასეთი დონისთვის გამოუცდელი იყო, მაშინ იწყებდა დიდი ფეხბურთის თამაშს. ამიტომაც ემე ჟაკე ჩემთვის გამორჩეული მწვრთნელია, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ რამდენიმე საკლუბო გრანდი ეპატიჟებოდა, ასტრონომიულ თანხასაც ჰპირდებოდნენ. მაგრამ ჟაკემ კლუბში მუშაობა იუარა, არ ვარ საკლუბო მწვრთნელი, სხვა ქვეყნის ნაკრებში კი ვერ ვიმუშავებო.

— ბოლო კითხვა კი ეს იყოს: ვინ მიგაჩნიათ ევრო 2008-ის ფავორიტად და ვინ შეიძლება სიურპრიზი შემოგვთავაზოს?

— პატროიტი ვარ და პირველ რიგში საფრანგეთის ჩემპიონობის მჯერა... ალბათ ისევ საფრანგეთი-იტალიას შორის უნდა ვეძებოთ მომავალი ჩემპიონი. მგონია, რომ ხორვატია წავა შორს, მაგრამ ეს უკვე სენსაცია აღარ იქნება. ასეთი ტურნირების სპეციფიკიდან გამომდინარე უფრო სავარაუდოა, რომ სიურპრიზს ტურნირის მასპინძლისგან ველოდეთ. ავსტრია ამ ეტაპზე სხვებზე სუსტია და ალბათ უფრო შვეიცარია იქნება აღმოჩენა.

ბაჩო სვანიძე

მარსელ დესაი
მეუღლესთან ერთად

მარსელ დესაი
„მარსელში"
თამაშისას

ლევან სილაგაძე ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელია

ლევან სილაგაძე: შესაძლოა, თამაში საერთოდ დავასრულო

საქართველოს ჩემპიონატში რუსთავის „ოლიმპის“ მცველი ლევან სილაგაძე ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელია. ის 19 წლის იყო, როდესაც პირველად მოირგო მაშინდელი რუსთავის „მეტალურგის“ მაისურა. მას შემდეგ 13 წელი გავიდა, ამ დროის მანძილზე სილაგაძემ რუსეთსა და ლატვიაშიც ითამაშა. ბოლოს ისევ საქართველოში დაბრუნდა და ჩემპიონიც გახდა. მე-20 ტურში რუსთაველებმა სილაგაძის გოლით სტუმრად 1:0 დაამარცხეს თბილისის „ლოკომოტივი“. გუნდისა და ჩვენი ჩემპიონატის თაობაზე ლევანს გუშინ ვესაუბრეთ...

— ბოლო ტურში „ოლიმპმა“ სწორედ შენი გოლით იმარჯვა...

— „მიხეილ მესხზე“ ადრეც გამიტანია და ახლაც ვგრძნობდი, რომ გავიტანდი მართალია, გოლი ცოტა კურიოზული იყო, მცველისგან რიკოშეტით გავიდა, მაგრამ მთავარია, რომ გუნდმა გაიმარჯვა.

— „ლოკომოტივში“ ბევრი შენი მეგობარი თამაშობს. ამან მოტივაცია ხომ არ გაგიზარდა?

— არა, ეს უფრო ახალი მწვრთნელის დამსახურებაა. ხვიჩა ქასრაშვილმა პირველივე დღიდან გვთხოვა, გვერდით დავდგომოდით. ჩვენ კი „მესხეთთან“ 0:0 ვითამაშეთ, „ზესტაფონთან“ 0:3 წავაგეთ... რაც ამ ორ თამაშში ვერ შევძელით, „ლოკომოტივთან“ გამოგვივიდა. რატი ალექსიძესთან, ლევან ცქიტიშვილთან და ვიტალი დარასელიასთან ვმეგობრობ, მაგრამ არა მოედანზე.

— ახალი მწვრთნელის მოსვლით რა შეიცვალა „ოლიმპში“?

— ფეხბურთელები მწვრთნელს უფრო დავუახლოვდით. თითქოს გუნდში მანამდე ურთიერთგაგება არ იყო, მიზეზი კი ენობრივი ბარიერია. „ოლიმპის“ ფეხბურთელების დიდი ნაწილი ისე გაიზარდა, რომ რუსული ენა არ იცის, ამიტომ ურთიერთობა გაჭირდა. ქასრაშვილის მოსვლის შემდეგ ენთუზიაზმმაც იმატა, ყველას უნდა, ახალ მწვრთნელს თავი მოაწონოს.

— წლეულს „ოლიმპისგან“ მეტს ელოდნენ. რას თვლი ჩავარდნის მიზეზად?

— ალბათ იმას, რომ სეზონი ცუდად დავიწყეთ. ჯერ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე წავაგეთ, რასაც „დინამოსთან“ პირველივე ტურში მარცხი დაემატა. ცუდ სტარტს მწვრთნელის შეცვლა მოჰყვა. სანამ ანატოლი პისკოვეცი და ფეხბურთელები ერთმანეთს გავიცნობდით, ქულები დავკარგეთ, მოტივაციაც გაქრა... ვფიქრობ, ძირითადი მიზეზები ესაა, თორემ შემადგენლობით მეხუთე ადგილს არ ვიმსახურებთ.

— საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში პირველად 13 წლის წინ ითამაშე. რა შეიცვალა მას შემდეგ?

— თითქმის არაფერი. რა სავარჯიშო პირობებიც მაშინ გვქონდა, იგივე გვაქვს ახლაც. ერთია, მაშინ „დინამო“ იოლად იგებდა ჩემპიონატს, ახლა გუნდების დონე გათანაბრდა და ჩემპიონობისთვის ბრძოლა დაიძაბა, თორემ მთლიანად ფეხბურთის დონეს არ აუწევია.

— შენი აზრით, ვინ გახდება წლეულს ჩემპიონი?

— სტაბილურობით „ვიტ ჯორჯია“ უფრო გამოირჩევა, ვიდრე „დინამო“ ან „ზესტაფონი“, მაგრამ მაინც მგონია, რომ ჩემპიონი „დინამო“ გახდება.

— ვინ გაგაოცა და გაგიცრუა წლევანდელ ჩემპიონატში იმედები?

— „დინამოსგან“ მეტს ველოდი, „ვიტ ჯორჯიასგან“ — არა. ეს გუნდი თითქმის ყოველ წელს იშლება და მაინც მაგარია. საინტერესო გუნდია „მესხეთი“, მასთან ორი მატჩი ვითამაშეთ და ვერაფერი დავაკელით.

— ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად ვის მიიჩნევ?

— ბრაზილიელი ვიეირა საუკეთესოა, ნებისმიერ უცხოურ კლუბში შეუძლია თამაში. პოლ კესანსაც გამოვარჩევდი.

— ახალგაზრდებიდან?

— დავით დევდარიანი! პერსპექტიული ახალგაზრდაა, ძლიერი მწვრთნელის ხელში და ძლიერ კლუბში მაღალი კლასის ფეხბურთელად ჩამოყალიბდება.

— და საქართველოში რა უშლის ხელს?

— ელემენტარული პირობები — არასწორი დასვენება, აღდგენა და კვება ფეხბურთელის თამაშზე გავლენას ახდენს, განსაკუთრებით ახალგაზრდებზე. რუსეთში ვთამაშობდი და ვიცი, იქ რაც ხდება. აქ მოედანზე გასასვლელად ათჯერ მეტი მობილიზაცია მჭირდება.

— რუსეთის გარდა ლატვიაშიც გითამაშია. უცხოეთში კიდევ ხომ არ აპირებ კარიერის გაგრძელებს?

— არ ვიცი, რა იქნება ზაფხულში. არ გამოვრიცხავ, რომ დავამთავრო კიდეც თამაში.

მიხეილ ჟორჟოლიანი

საქართველოს პირველი ლიგა 19 ჩემპიონატი

21 ტურ-ბოლოსთან

აღმოსავლეთი

ოლიმპიკი 2:1 კახეთი

0:1 ძამუკაშვილი (23), 1:1 მაისურაძე (58), 2:1 გოგიაშვილი (62)

ოლიმპიკი: ემუხვარი, ბებუა, გ. ალავიძე, ჯ. გოგიაშვილი, ფურცელაძე (როსტომაშვილი 46), ნ. მაისურაძე, ქამუშაძე (ლაბარტყავა 52), გ. იაშვილი, შ. კვანტალიანი (ღვინიაშვილი 46), ბელთაძე, თ. შონია

სათადარიგონი: გრიგოლაშვილი, სანოძე, ოქრუაშვილი

მწვრთნელი: ლევან მელიქია

კახეთი: გ. ოთარაშვილი, ტარულაშვილი, გ. ლომიძე, ჩუთლაშვილი, შ. ლობჟანიძე (მაჩაიძე 64), კუპრაშვილი (ლ. ტეტიაშვილი 79), კვლევაშვილი, დ. ბურდული (ბიძინაშვილი 70), ბედოიძე, მურველაშვილი, ძამუკაშვილი

სათადარიგონი: მელიქიშვილი, ზარქუა, აბდულაევი, ქუფარაშვილი

მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

გაფრთხილება: ქამუშაძე, ლომიძე, ტეტიაშვილი

მსაჯი: კ. ჭაჭუა

100 მაყურებელი

გაგრა 4:0 ნ. დინ-მერანი 2

1:0 შარიქაძე (2), 2:0 ქვრივიშვილი (58), 3:0 მეტრეველი (70), 4:0 ხელაძე (90)

გაგრა: ბათიაშვილი, ჩოჩია, ტეტუნაშვილი, ქვრივიშვილი, თოთაძე, ცხადაია, შარიქაძე, ე. ფილია, ზ. დათუნაშვილი (ლ. სეთურიძე 55), სუხიშვილი (მეტრეველი 51), ზ. ძაგანია (ხელაძე 65)

სათადარიგონი: ხომერიკი, ა. აბაშიძე, ლალიანი

მწვრთნელი: გიორგი ჭიაბრიშვილი

ნ. დინ-მერანი 2: თევდორაძე, მ. ქავთარაძე, ტოსტიაშვილი, ჯორჯიკია, ჩიტალაძე, ღვთისავრიშვილი, ნაკაშიძე (არაყიშვილი 46), ბურჭულაძე, ა. შენგელია, ი. ქავთარაძე (ა. ნოზაძე 36), გავაშელი (კაკულია 46)

სათადარიგონი: გურჩიანი, ხუჭუა, დაბრუნდაშვილი

მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე

გაფრთხილება: მეტრეველი, ნოზაძე, თევდორაძე

მსაჯი: ვ. გუნბერიძე

200 მაყურებელი

დინამო 2 3:1 ჩიხურა

1:0 ჯიშკარიანი (10), 2:0 ჩადუნელი (29), 3:0 ჯიშკარიანი (30), 3:1 ჩიკვაიძე (76)

დინამო 2: გ. ლოსაბერიძე, მინდორაშვილი, კაჭკაჭიშვილი, ჩადუნელი, ა. ტეტუნაშვილი, ნემსაძე, მამუჩიშვილი, მამრაში (ი. კანდელაკი 63), გ. ჯოხაძე (გ. ოთარაშვილი 78), სიხარულიძე (ჭადაშვილი 73), ჯიშკარიანი

სათადარიგონი: მაკარიძე, გეთიაშვილი, გ. ჩიკვაიძე, კოპაძე

მწვრთნელი: დავით კვლევაშვილი

ჩიხურა: მწყერაშვილი, ზიგზიგაძე, ბარაბაძე, ხვედელიძე (ზ. ნოზაძე 31), ვ. ზაბახიძე, დოლონაძე, ი. ზაბახიძე (გ. ენუქიძე 90), ჭილაძე (ლ. ჩიკვაიძე 46), პეტრიაშვილი, როგავა, მ. მიქაძე

სათადარიგონი: ბეგაშვილი, ცარციძე, მ. ნადირაძე, მაჭარაშვილი

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: ლ. ჩიკვაიძე, მინდორაშვილი, მინდორაშვილი, ჯიშკარიანი

გაძევება: მინდორაშვილი (75), ჩადუნელი (89)

მსაჯი: ლ. კვარაცხელია

100 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია 2 3:0 ოლიმპი 2

1:0 მაისაშვილი (13), 2:0 ჯანელიძე (62პ), 3:0 პირველი (90)

ვიტ ჯორჯია 2: მიქაბერიძე, პირველი, ადამაძე, კასრაძე, კაიშაური, ვასაძე, მაისაშვილი, ინჯგია, გ. ჯანელიძე, ბ. ცხადაძე (ჯიქიძე 46), კვალინიძე (ღანიაშვილი 72)

სათადარიგონი: ღურბელეიშვილი, ჯეკუა, სორდია, როსტიაშვილი, გამრეკლიძე

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

ოლიმპი 2: გალდავა, სარაჯიშვილი, გ. ოდიშარია, გ. პაჭორია, გ. რეხვიაშვილი, გურეშიძე, ზვიადაძე, ჩიხრაძე, გუგუჩია (ი. დევდარიანი 81), მახარაშვილი (სულუხია 75), ტორონჯაძე

სათადარიგონი: ბ. საჯაია, ჭაფოძე, ზედგინიძე, გავაშელიშვილი, დ. პაჭორია

მწვთრნელი: გელა გომელაური

გაფრთხილება: რეხვიაშვილი, მიქაბერიძე

მსაჯი: ი. ურუშაძე

100 მაყურებელი

ამერი 2 0:1 მეშაძრე

0:1 დონდოლაძე (17)

ამერი 2: გვენცაძე, დ. სიჭინავა, გვაძაბია, გ. ჯელაძე, ხატიაშვილი (სანიკიძე 12), ა. ალავიძე, ბოჯგუა, სილაგავა, ხუციძე, ხარაძე (ვ. ჯელაძე 65), ჩიმაკაძე (გრძელიძე 54)

სათადარიგონი: ბასილაური, კეკელია, გ. სიჭინავა, ცხოვრებაშვილი

მწვრთნელი: დავით მახარაძე

მეშაძრე: პ. ოთარაშვილი, დონდოლაძე, ახობაძე, გვარუციძე, გაგნიძე, ლ. კვარაცხელია, ა. ჯანელიძე (თარგამაძე 85), გ. ლაცაბიძე, ლ. კობახიძე, ლ. მანწკავა (კავთელაძე 65), ჩიხლაძე (ებანოიძე 65)

სათადარიგონი: აბრამიშვილი, ლ. ტყებუჩავა, ბ. გოცირიძე, ფაილოძე

მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა

გაფრთხილება: კობახიძე, ალავიძე, ჯელაძე, კვარაცხელია, ლაცაბიძე, გვაძაბია

მსაჯი: ლ. ფანიაშვილი

50 მაყურებელი

დინამო 2	21	12	6	3	32:15	42
მეშაქრე	21	11	6	4	30:18	39
ვიტ ჯორჯია 2	21	11	5	5	32:15	38
გაგრა	21	11	5	5	43:32	38
ჩიხურა	21	9	6	6	33:29	33
ოლიმპი 2	21	8	6	7	27:23	30
კახეთი	21	7	4	10	30:33	25
ამერი 2	21	7	2	12	30:35	23
ოლიმპიკი	21	4	4	13	26:43	16
ნ.დინ-მერანი 2	21	0	6	15	17:57	6

XXII ტური

13 აპრილი, კვირა

ნ.დინ-მერანი 2 – ჩიხურა

კახეთი – დინამო 2

14 აპრილი, ორშაბათი

ვიტ ჯორჯია 2 – ოლიმპიკი

მეშაქრე – ოლიმპი 2

გაგრა – ამერი 2

დასავლეთი

ტორპედო 1:1 ხობი

1:0 გაბუნია (57პ), 1:1 ჩაჩანიძე (87)

ტორპედო: დ. მემარნიშვილი, დათიაშვილი, ხარებავა, ვაჩიბერაძე, გაბუნია, ლ. კირკიტაძე, ბ. ჩხეტიანი (სირაძე 76), კილაძე, თვალავაძე (ლურსმანაშვილი 81), კეჭეყმაძე, ჭყონია (გურეშიძე 58)

სათადარიგონი: დ. ოდიშარია, გოდერიძე, ჯოხაძე, ქათამაძე

მწვრთნელი: დავით ჯანაშია

ხობი: ხარძეიშვილი, გ. გოგენია, დ. ჭითანავა, ფარფალია (წულაია 62), ჯამბურია, ლატარია (ჩაჩანიძე 46), სამსეიშვილი, ო. ფიფია, პაპავა (კ. გოგენია 46), დანელია, სართანია

სათადარიგონი: ლომაია, გაგუა, ა. კვირკველია, მ. შონია

მწვრთნელი: ლევან ნოდია

გაფრთხილება: ჭითანავა, კილაძე, ფიფია

მსაჯი: ჯ. ბუიშვილი

100 მაყურებელი

სამტრედია 2:1 ზესტაფონი 2

0:1 გელაშვილი (13), 1:1 კვესეიშვილი (52), 2:1 კრავეიშვილი (60)

სამტრედია: ხურციძე, გოგია, კვესეიშვილი, თელია, გუბელაძე, ქობალია, ა. ივეჩიანი, ეცადეიშვილი, ჩომახიძე (ბოხუა 90), კრავეიშვილი (ზ. რაზმაძე 88), ბაკარანძე (ნინუა 64)

სათადარიგონი: ამაღლობელი, რუხაძე, გაგუა, მამულაშვილი

მწვრთნელი: ბადრი ქორიძე

ზესტაფონი 2: ჯალალონია, სურმავა, შ. ღონღლაძე, ხუმარაშვილი, გელაჭეიშვილი (ბერუაშვილი 46), ბენაშვილი, საცერაძე, ფონტანსი, გორგიაშვილი, დ. ჯანელიძე, გელაშვილი (გაბრიჩიძე 69)

სათადარიგონი: ო. ბოჭორიშვილი, ბუკია, ბერძენაძე, ნებიერიძე

მწვრთნელი: მალხაზ ღონღლაძე

გაფრთხილება: ეცადეიშვილი, ეცადეიშვილი, საცერაძე, ბენაშვილი, ხუმარაშვილი, ჯალალონია, ბენაშვილი, ბერუაშვილი

გაძევება: ბენაშვილი (60), ეცადეიშვილი (78)

მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი

200 მაყურებელი

მერანი (მ) 0:1 მაღაროელი

0:1 ხაჭიპერაძე (69)

მერანი (მ): ლ. ძაგანია, აქუბარდია, ფარცვანია, ჩხიკვაძე, კვიტატიანი, პაპადოპულოსი (ციცვაია 73), წოწორია, ტ. ულენტი, ჩალაძე (ცაგარეიშვილი 83), შ. ლომია, ბეგოიძე (გოგუა 83)

სათადარიგონი: კ. ძაგანია, ტორაძე, უგლავა, შეროზია

მწვრთნელი: მალხაზ ფვანია

მაღაროელი: ბარულაშვილი, შუკაკიძე, გ. ბრეგვაძე, ჩხარტიშვილი, ეგაძე, გ. ილურიძე, სეფერთელაძე (მგელაძე 76), სევასტოპულო, ხაჭიპერაძე (მიშველიძე 89), გამცემლიძე, ი. ტყებუჩავა (მ. სამხარაძე 84)

სათადარიგონი: დოლაძე, ბიბილაშვილი, გაფრინდაშვილი, დარჯანია

მწვრთნელი: ბადრი ბრეგვაძე

გაფრთხილება: ულენტი, ილურიძე, ბადურაშვილი

მსაჯი: ჰ. დოგრაშვილი

1000 მაყურებელი

კოლხეთი 1:0 უნივერსიტეტი

1:0 გვიჩია (90)

კოლხეთი: გ. შენგელია, გ. სიჭინავა, გოგონაია, გეგელია, სხვიტარია, კილასონია, აბურჯანია, გვიჩია (ზ. შენგელია 90), გოგნაძე, გახარია (დ. მოისწრაფიშვილი 62), ციკოლია (მეგრელიშვილი 75)

სათადარიგონი: ჩემია, ი. მოისწრაფიშვილი

მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი

უნივერსიტეტი: კუჭუხიძე, გ. ტორაძე (ლ. დვალიშვილი 77), წიქორიძე, გ. დარჯანია, კვირიკაშვილი, შველიძე, მორჩილაძე (ქორიძე 76), ბოდოკია, ბასილაია (ჭოლოშვილი 46), კუბლაშვილი, ზ. ლოსაბერიძე

სათადარიგო: მეფარიშვილი

მწვრთნელი: ედუარდ შავგულიძე

გაფრთხილება: გოგონაია, გეგელია, კილასონია, მორჩილაძე, ჭოლოშვილი

მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

300 მაყურებელი

ფაზისი 0:3 მეშახტე

„მეშახტეს“ ჩაეთვალა მოგება

მაღაროელი	21	18	2	1	45:13	56
მეშახტე	21	12	1	8	34:29	37
ზესტაფონი 2	21	11	2	8	33:20	35
მერანი (მ)	21	10	4	7	26:18	34
ტორპედო	21	8	6	7	29:26	30
კოლხეთი	21	8	6	7	26:25	30
ხობი	21	7	6	8	27:25	27
უნივერსიტეტი	21	6	3	12	16:22	21
სამტრედია	21	5	4	12	24:44	19
ფაზისი	21	2	2	17	17:55	8

„ფაზისი“ მოხსნილია გათამაშებიდან

XXII ტური

13 აპრილი, კვირა

ხობი – უნივერსიტეტი

ზესტაფონი 2 – კოლხეთი

ტორპედო – ფაზისი

14 აპრილი, ორშაბათი

მაღაროელი – სამტრედია

მეშახტე – მერანი (მ)

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
SLOT POKER CLUB VEGA
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

საქმეში ლიპი ჩაერია

მსოფლიოს ჩემპიონმა პროცენტი დაასახელა

მანჩესტერი — რომა (2:0)
სავარაუდო შემადგენლობები
მანჩესტერი: ვან დერ სარი; ბრაუნი, პიკუ, ეფრა, ოში; ნანი, სქოულზი, კარიკი, გიგზი; რონალდუ, რუნი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
რომა: დონი; პანუჩი, მექსესი, ჟუანი, ტონეტო; დე როსი, პიზარო; ტადეი, პეროტა, მასსინი; ვუჩინიჩი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
მსაჯი: ტომ-პენინგ ოვრებო (ნორვეგია)

მსოფლიოს ჩემპიონი მარჩელო ლიპი ნახევარფინალში „რომას" გასვლას არ გამორიცხავს, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ „მანჩესტერი" დღეს მსოფლიოს უძლიერესი გუნდია და ჰყავს საუკეთესო ფეხბურთელი კრიშტიანუ რონალდუ.

„თუ „რომას" გაუმართლებს, გოლს მალევე გაიტანს და მისი ფეხბურთელები 150 პროცენტით დაიხარჯებიან, ვინ იცის, ეგებ სასწაული მოხდეს და ორბურთიანი სხვაობა გაბათილონ — თქვა ლიპიმ — თუმც „მანჩესტერი" დღეს პლანეტის უძლიერეს გუნდად მიმაჩნია, რონალდუ კი მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ. რომაელებმა ორი გოლი ლონშიც გაიტანეს და მადრიდშიც, ასე რომ, შეუძლებელი არაფერია. ფრანჩესკო ტოტის საქმე კი სიმონე პეროტამ და დანიელე დე როსიმ უნდა იკისრონ".

„რომას" ნახევარმცველის როდრიგო ტადეის აზრით, ნახევარფინალში გასასვლელად მისმა გუნდმა „ოლდ ტრეფორდზე" განსაკუთრებული თამაში უნდა აჩვენოს და ფეხბურთელმა ლიპის პროცენტებს კიდევ 50 დაუმატა: „თითოეულ ჩვენთაგანს თავდაუზოგავი ბრძოლა მოუწევს, ასი კი არა, საკუთარი შესაძლებლობის ორასი პროცენტი უნდა გავიღოთ. რა თქმა უნდა, ცუდია, ტოტი რომ არ გვეყოლება, მაგრამ ამ სეზონში მის გარეშე არაერთხელ გვითამაშია და მოგვიგია. ზოგი ამბობს, პირველ მატჩში ფრანჩესკო რომ ყოფილიყო, „რომა" „მანჩესტერს" დაამარცხებდაო, მაგრამ ტოტი აქ არაფერშუაშია. იმიტომ წავაგეთ, რომ ასპროცენტიანი შანსები ვერ გამოვიყენეთ".

„მანჩესტერის" მცველის უესლი ბრაუნის თქმით, საქმე სანახევროდაა გაკეთებული და ბოლომდე მიყვანა სჭირდება: „სტუმრად ორბურთიანი სხვაობით მოგების გამო ხალხს უკვე ნახევარფინალში ვგონივართ, მაგრამ კიდევ ერთი მატჩია სათამაშო. „რომას" გოლის გატანა არ ესწავლება, ამიტომ ისევე ფრთხილად და ყურადღებით უნდა ვიყოთ, როგორც პირველ შეხვედრაში. მოთმინება და საგოლე მომენტების გამოყენება გვმართებს, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად გვექნება".

რომაელთა ჩერნოგორიელი ფორვარდი მირკო ვუჩინიჩი იმედიანადაა: „რომ არ გვჯეროდეს, რომ ორბურთიანი სხვაობის გაბათილება შეგვიძლია, მანჩესტერში წასვლას აზრი არ ექნებოდა. ურთულესი ამოცანის წინაშე ვართ, მაგრამ ნახევარფინალში გასვლის შანსებს მაინც თანაბრად ვაფასებ. ტრავმირებული ტოტის მაგივრად ვითამაშებ, რომლის სრულფასოვნად შეცვლა შეუძლებელია, მაგრამ თავს არ დავზოგავ და ვიმედოვნებ, რომ გავიტან".

შარშან „ოლდ ტრეფორდზე" შვიდი გოლის გამშვებმა ალეშანდერ დონიმ კი განაცხადა: „შანსი ჯერ კიდევ გვაქვს და ვფიქრობ, რომ გახსნილი, ლაღი თამაში გამოვა", ხოლო ფილიპ მექსესმა თქვა: „ნაადრევად ხელი არ უნდა ჩავიქნიოთ, მიუხედავად იმისა, რომ „ოლდ ტრეფორდზე" „მანჩესტერის" წინააღმდეგ თამაში და მოგება ძალიან ძნელია".



ლიპი რონალდუს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევს

კვირას, პრემიერლიგაში „მანჩესტერი" „მიდლსბროს" სტუმრად დაუზავდა — 2:2. ალექს ფერგიუსონის გუნდი რონალდუს გოლით იგებდა, მაგრამ აფონსო ალვეშისგან ორი გაუშვა და ქულა უეინ რუნიმ გადაურჩინა.

„რომამ" „ჯენოას" უმასპინძლა და 3:2 დაამარცხა. დამხვდურები ტადეის და ვუჩინიჩის გოლებით დაწინაურდნენ, თუმც გენუელებმა მეორე ტაიმის დასაწყისში გაათანაბრეს. ბოლოს დე როსიმ პენალტი გაიტანა და რომაელებს მოაგებინა.

„მანჩესტერი" ჩემპიონთა ლიგაში შინ უკვე მესამე წელია, არ აგებს — ბოლო ცამეტი მატჩიდან ათი მოიგო და სამი ფრედ დაასრულა.

„რომა" ევროთასებზე ინგლისს ათჯერ ეწვია და მხოლოდ ერთხელ მოახერხა გამარჯვება.

შეგახსენებთ, რომ ეს გუნდები ამ სეზონში ჯგუფურ ეტაპზეც შეხვდნენ ერთმანეთს. „ოლდ ტრეფორდზე" მასპინძლებმა 1:0 იმარჯვეს, რომში კი შეხვედრა 1:1 დასრულდა.

„მანჩესტერს" ტრვმის გამო ნემანია ვიდიჩი დააკლდება, რიო ფერდინანდის თამაში კი საეჭვოა.

რომაელებს ტოტის გარდა მატეო ფერარიც ვერ დაეხმარება, ხოლო სიმონე პეროტამ დისკვალიფიკაცია მოიხადა და ძირითად შემადგენლობაში იქნება ტრავმამოშუშებულ ჟუანთან ერთად.

ვაჟა ხუციშვილი

„ბარსას" „ხეტაფესთან" თეთრი ცხვირსახოცები უფრიალეს

ფრანკ რაიკარდმა ქომაგებს ფილტვების გაკერვა სთხოვა

ბარსელონა — შალკე (1:0)
სავარაუდო შემადგენლობები
ბარსელონა: ვალდესი; ძამბროტა, პუიოლი, მილიტო, სილვინიო; ხავი, ი. ტურე, ინიესტა; კრკიჩი, ეტოო, ანრი
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
შალკე: ნოიერი; რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი; ასამოა, ჯონსი, ერნსტი, პანდერი; ჟურანი, ალთინთოფი
მწვრთნელი: მირკო სლომკა
მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)

ისევე, როგორც „შალკესთან" პირველი მატჩის წინ, ფრანკ რაიკარდს და „ბარსელონას" თავს ფანების რისხვა ამჯერადაც დატყდა.

გელზენკირხენში თამაშამდე „ბარსამ" პრემერადივიზიონში სტუმრად „ბეტისთან" წააგო, რამაც ქომაგების გაბრაზება გამოიწვია.

ახლა, „შალკესთან" საპასუხო შეხვედრამდე გუნდმა შინ „ხეტაფეს" ვერ მოუგო — უგოლოდ დაუზავდა და გულშემატკივრებმა სტვენით ფილტვები დაიხეთქეს.

გაწბილებულმა ფრანკ რაიკარდმა განაცხადა, რომ „ბარსას" სწორედ ასეთ რთულ ვითარებაში სჭირდება ფანების მხარდაჭერა. „ასეთ დროს „ბარსელონას" ყველაზე მეტად ქომაგები უნდა დაეხმარონ ერთად დადგომა გვმართებს. გუნდმა „ხეტაფესთან" გულიანად ითამაშა, მაგრამ ბურთმა კარში შესვლა არ ინება. ცხადია, საწყენია, რომ ვერ მოიგეს, მაგრამ შრომა უნდა გავაგრძელოთ. სტვენით და ლანძღვა-გინებით საქმე არ გამოსწორდება."

„კარგად მესმის ფანებისა და მათ დიდ პატივს ვცემ — თქვა კლუბის პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ — მაგრამ ჯერ არც ჩემპიონობის შანსი დაგვიკარგავს და ჩემპიონთა ლიგის მოსაგებადაც ვიბრძვით".

„ძალიან გულდაწყვეტილი ვარ — აღნიშნა ხავიმ — „ხეტაფესთან" უდიდესი უპირატესობის მიუხედავად, გოლი ვერ გავიტანეთ და „რეალთან" სხვაობის შემცირება ვერ მოვახერხეთ".

სამუელ ეტოო: „მაინც მჯერა, რომ პრემერადივიზიონის მოგებაც შეგვიძლია და ჩემპიონთა ლიგისაც".

დღეს, „შალკესთან" კვლავ არ იქნება რონალდინიო, გაბრიელ მილიტოს თამაში კი საეჭვოა. რადგან „ხეტაფესთან" დაშავდა.

მიუხედავად იმისა, რომ პუნდესლიგაში მეორე ადგილზეა და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში პირველად გავიდა, გერმანული მედია სეზონის ბოლოს მირკო სლომკას მოხსნას უწინასწარმეტყველებს. წლეულს უკვე მეორედ ავიდა ეს თემა. თებერვალში, ჩემპიონატში ზედიზედ ორი წაგების შემდეგ და „პორტუსთან" მერვედფინალის საპასუხო მატჩის წინ, სლომკა კინალამ დაითხოვეს. „შალკემ" პორტუში პენალტებით მოიგო და მეოთხედფინალში გავიდა, სლომკამ კი ადგილი შეინარჩუნა. გაუგებარია, მაინცდამაინც „ბარსასთან" მნიშვნელოვან შეხვედრამდე რატომ ამოატივტივეს მწვრთნელის საკითხი. ალბათ, „პორტუსთან" მატჩამდე მუქარამ რომ გაჭრა, ახლაც იგივე ხერხს მიმართეს, კარგად გვაქვს დაჯდილი. „შალკეს" დირექტორატის ინკოგნიტო წევრმა „ბილდს" გაუმხილა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ გუნდში სლომკას დატოვების ძალიან მცირე შანსი არსებობს. ჟურნალ სავარაუდო შემცვლელიც დასახელა — „ჰანოვერის" ყოფილი თავდასაცმელი პიტერ ნორურერი, რომელიც წელიწადნახევარია, უსაქმოდაა.

„შალკემ" შაბათს შინ „ჰანზა" 1:0 დაამარცხა, მეორე ადგილზე გადაბრძანდა და დღეს „ჰანზადან" „ბარსელონაზე" გადასვლა მოუწევს.

„თუ ისე ვითამაშებთ, როგორც გელზენკირხენში მეორე ტაიმში, გოლის გატანის შანსი გვექნება" — განაცხადა ჰაიკო ვესტერმანმა, რომელმაც შაბათის მატჩში მსუბუქი ტრავმა მიიღო, მაგრამ უკვე მომჯობინდა.

მცველები მლადენ კრსტაიჩი და კრისტიან პანდერი გუნდს ბარსელონაში გაჰყვნენ, თუმც მათი თამაში საეჭვოა, ხოლო ჯერმეინ ჯონსმა დისკვალიფიკაცია მოიხადა და სავარაუდოდ ძირითად შემადგენლობაში იქნება.

„ბარსელონამ" ორრაუნდიან მატჩებში სტუმრად პირველი შეხვედრა 34-ჯერ მოიგო და მხოლოდ ორჯერ ვერ მოახერხა მეორე ეტაპზე გასვლა. გერმანულ კლუბებს ოცჯერ უმასპინძლია, ითხმეტ მატჩში იმარჯვა, ხუთი წააგო და მეტოქეს ერთხელ დაუზავდა.

რაც შეეხება ესპანეთში „შალკეს" სტუმრობას, ზედიზედ ორი მოიგო, ამდენივე ფრეი დასრულა და სამჯერ დამარცხდა.

ვაჟა ხუციშვილი

ალესანდრო დიდი

საფეხბურთო სამყაროსთვის საინტერესოა, თუ რა შემადგენლობით წავა ევრო 2008-ზე მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი იტალიის ნაკრები. ერთ-ერთი მთავარი კითხვა კი ასეთია — წაიყვანს კი „სკუადრა აძურას“ მთავარი მწვთნელი რობერტო დონადონი ვეტერან ალესანდრო დელ პიეროს ავსტრია-შვეიცარიაში მასთან არცთუ კარგი ურთიერთობის ფონზე? „სკუადრა აძურას“ ფანების უმეტესობა „პინტურიკიოს“ მხარესაა, მით უმეტეს, რომ იგი მშვენიერ ფორმაშია და ახლახან ჩატარებული მატჩების რაოდენობის მხრივაც „იუვენტუსის“ რეკორდსმენი გახდა. ცნობილი ჟურნალისტი პოლ უოტსონი კი იმედს იტოვებს, რომ პრესა დელ პიერო სათანადოდ დააფასებს და აღიარებს

„იუვენტუსისა“ — „პარმას“ 31-ე ტურის შეხვედრა ტრაგიკული შემთხვევის გამო გადაიდო და მასთან ერთად გადაიდო ალესანდრო დელ პიეროს 333-ე მატჩი „ბებერი ქალბატონის“ მაისურით, მაგრამ კვირას, „პალერმოსთან“ მატჩში, ალესანდრო ან, თუ გნებავთ, „ალექს დიდი“ „ბიანკონერის“ მაისურით ჩატარებული მატჩების მხრივ რეკორდსმენი მაინც გახდა. მან გაეტანო შირეას მიღწევა გაუმჯობესა. მისმა გუნდმა სიცილიელებთან კი წაგო, მაგრამ თავად „პინტურიკიო“ ბრწყინვალე გახლდათ — მაღალი შეფასება, ორი გოლი და შეზანზარებული ბადე — აი მისი მონაგარი.

აპენინურმა არამდგრადმა პრესამ ტრადიციულად ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღო და რა ხანია, ალექსი ჩამოწერა — უკვე წარსული კაციაო. თუმცა მიმდინარე სეზონში 33 წლის დელ პიერო ჩინებულად თამაშობს.

ამ ნიჭიერი თავდამსხმელისთვის ჯილდოები და ტიტულები უცხო არ არის, მაგრამ გახდე „იუვენტუსის“ ისტორიაში ყველაზე მეტი მატჩის ჩამტარებელი და ყველაზე მეტი გოლის გამტანი ფეხბურთელი, შენს პოზიციას იტალიური და მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთიორად ამყარებს და უკვდავყოფს. ფაქტია, დელ პიეროს სახელი იტალიურ ფეხბურთთან და მით უმეტეს, კონკრეტულად „ბებერ ქალბატონთან“ ასოცირდება.

ჩემი თაობისთვის და მათთვის, ვინც ფეხბურთს ბოლო ერთი-ორი ათწლეულია აკვირდება, „იუვენტუსის“ დელ პიეროს გარეშე წარმოდგენა ძალიან ძნელია. „პადოვას“ ახალგაზრდულ გუნდში წამოჩიტულს, „ბიანკონერიში“ 15 წელი აქვს გატარებული და „ბებერი ქალბატონის“ სიმბოლოს წარმოადგენს. ფეხბურთი ვარსკვლავებით სავსეა, მაგრამ „პინტურიკიო“ იმითაც გამოირჩევა, რომ ეს თამაში ძლიერ უყვარს, თავისი კლუბის ერთგული და თავმდაბალი ადამიანია.

ადვილი იქნება დელ პიეროს დიდების მომენტების ჩამოთვლა, მაგრამ მის ხასიათს ერთი მცირე ეპიზოდი უკეთ გადმოგვცემს. კალჩოპოლის სკანდალის შემდეგ ალექსი ულაპარაკოდ დარჩა გუნდში და მას უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაში დაეხმარა. ბევრი ვარსკვლავი სერია B-ში თამაშს არ ისურვებდა ან ამას უხასიათოდ გააკეთებდა. „პინტურიკიო“ კი პირიქით, მთელი შემართებით ირჯებოდა და საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

მისი კარიერა დასასრულისკენ ნამდვილად მიდის, მაგრამ ბოლო პერიოდის გამოკითხვებმა ნათლად აჩვენა, რომ იტალიელთა უმრავლესობას დელ პიეროს ევრო 2008-ზე ხილვა სურს და ალექსი ამას იმსახურებს კიდეც. ავსტრიასა და შვეიცარიაში წარმატება ბრწყინვალე გვირგვინი იქნება იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მებრძოლისა და სიმბოლოს სანაკრებო კარიერისთვის.

ასე ჩანს, 35 წლის პაველ ნედვედი კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივებს კონტრაქტს კლუბთან. ასე რომ, თუ ალექსი ისურვებს, ალბათ მასაც ვიხილავთ მწვანე მინდორზე კიდევ რამდენიმე სეზონი განმავლობაში. თუმცა, დიდი შანსია, ალესანდრო დელ პიეროს ისტორიის ბოლო თავზეც ვიყოთ მისულნი, ეს ისტორია კი ნამდვილად შთამბეჭდავი და ეპოქალურია.

პოლ უოტსონი

კასანოს ფიქრები

ესპანური „რეალის“ საკუთრებაში მყოფმა ანტონიო კასანომ განაცხადა, მადრიდში დაბრუნება არ მინდა, „სამპდორიაში“ თავს ბედნიერად ვგრძნობ და აქ დარჩენა მსურსო.

„გენუა მომწონს, თავისი ხალხითა და „სამპდორიას“ ფანებით. „რეალში“ დაბრუნება არ მინდა. მადრიდელებმა ეს იციან. მსურს თუ არა, რობერტო მანჩინის „ინტერში“ გადასვლა? არა, „სამპდორიაში“ თავს კარგად ვგრძნობ და აქ დარჩენას ვაპირებ. „ტორინოსთან“ შეხვედრაში სულელურად მოვიქეცი და ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია სამართლიანად მომცეს. კიდევ ერთხელ ყველას ბოდიშს ვუხდი, ძველი შეცდომების გამეორებას არ ვაპირებ“ — თქვა „ხულიგანმა“.

სერია A-ს დასრულებამდე ხუთი ტურია დარჩენილი და „სამპდორია“ რომელიმე ევროტურნირის საგზურისთვის იბრძვის. გენუელებს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსიც აქვთ. ვალტერ მაკარის გუნდი მომავალ ტურში გადარჩენისთვის მებრძოლ „რეჯინას“ სტუმრობს.

ანტონიო კასანო: „ჩვენთვის მომავალი მატჩი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სერიოზული მიზნებისთვის ვიბრძვით და აუცილებლად უნდა მოვიგოთ. რასაკვირველია, ძალიან მინდა, ევროტურნირებზე ისევ ვითამაშო, ხოლო „სამპდორიას“ მაისურით ამას სიამოვნებით გავაკეთებ“.

„ხულიგანმა“ ეროვნულ ნაკრებზეც ილაპარაკა და აღნიშნა, თუ რობერტო დონადონი ევრო 2008-ზე წამიყვანს, უნდა მათამაშოს კიდეც, სათადარიგოთა სკამზე ჯდომას არ ვაპირებო.

„მე ან ფრანჩესკო ტოტი ნაკრებს უფრო ვჭირდებით, ვიდრე ალესანდრო დელ პიერო. თუ „სკუადრა აძურაში“ მიმიწვევენ, მინდა, ყველა მატჩში მივიღო მონაწილეობა. საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ“ — დასძინა კასანომ.

შეგასხენებთ, რომ არცთუ დიდი ხნის წინ, იტალიაში გამოკითხვა ჩაატარეს — „ვინ გსურთ იხილოთ ევრო 2008-ზე, ანტონიო კასანო თუ ალესანდრო დელ პიერო?“ ქომაგთა უმრავლესობამ უპირატესობა „იუვენტუსის“ ვეტერან კაპიტანს მიანიჭა. რაც შეეხება ტოტის, „რომას“ კაპიტანს „სკუადრა აძურაში“ 2006 წლის მუნდიალის მერე არ უთამაშია და, როგორც იცით, აღარც აპირებს.

კოკი კანდელაკი

ინგლისი

ჩემპიონატი. XLII ტური

სტოკი 1:2 კრ. პალასი

ბრისტოლი	42	19	13	10	49:49	70
სტოკი	42	18	15	9	64:53	69
ჰალი	41	19	11	11	59:41	68
უოტფორდი	41	18	14	9	60:48	68
ვესტ ბრომვიჩი	40	19	10	11	78:51	67
კრ. პალასი	42	15	17	10	48:40	62
ყულვზი	40	16	13	11	47:45	61
იფსვიჩი	41	16	12	13	58:51	60
ჩარლტონი	42	16	12	14	58:52	60
პლიმუთი	42	16	11	15	54:46	59
ბარნლი	42	15	13	14	55:57	58
კარდიფი	40	14	14	12	47:44	56
შეფილდი	41	14	14	13	46:44	56
ქუინზ პარკი	42	13	15	14	58:60	54
პრესტონი	42	15	9	18	45:47	54
ნორვიჩი	42	14	10	18	43:51	52
ბლეკპული	41	11	17	13	54:53	50
ქოვენთრი	42	13	10	19	44:56	49
საუთჰემპტონი	42	12	13	17	51:67	49
ლესტერი	42	11	14	17	39:41	47
უენსდი	41	12	11	18	43:48	47
ბარნსლი	40	11	13	16	43:57	46
სკანთორპი	42	9	12	21	39:62	39
კოლჩესტერი	42	7	15	20	57:76	36

საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXI ტური

გრენობლი 2:0 ტრუა

ლე ავრი	31	20	8	3	57:28	68
ნანტი	31	18	9	4	48:25	63
ტრუა	31	15	8	8	40:31	53
გრენობლი	31	14	9	8	38:27	51
კლერმონი	31	12	12	7	44:35	48
ბასტია	31	13	7	11	39:32	46
სედანი	31	11	11	9	39:37	44
მონპელიე	31	11	10	10	33:27	43
ანჟერი	31	11	10	10	30:30	43
ბრესტი	31	11	10	10	31:35	43
გენგამი	31	10	11	10	30:29	41
აიაჩო	31	10	10	11	29:36	40
შატორუ	31	9	10	12	29:33	37
რეიმსი	31	10	7	14	37:45	37
ბულონი	31	10	6	15	33:44	36
ამიენი	31	8	10	13	37:42	34
დიჟონი	31	7	12	12	26:42	33
ნიორი	31	8	7	16	31:43	31
ლიბურნი	31	7	9	15	36:46	30
გენიონი	31	2	10	19	28:48	16

გერმანია

II ბუნდესლიგა. XXVII ტური

კიოლნი 1:1 გლადბახი

გლადბახი	27	14	10	3	49:28	52
ჰოფენჰაიმი	27	14	8	5	43:30	50
მაინცი	27	12	10	5	46:27	46
კიოლნი	27	13	7	7	47:34	46
ფიურტი	27	12	8	7	45:32	44
ფრაიბურგი	27	11	10	6	36:34	43
ვეჰენი	27	9	10	8	40:41	37
კობლენცი	27	9	10	8	33:34	37
ალემანია	27	9	9	9	38:38	36
მიუნხენი	27	8	11	8	35:32	35
ზანკტ პაული	27	8	9	10	36:39	33
აუგსბურგი	27	8	7	12	32:38	31
ოსნაბრიუკი	27	8	7	12	35:48	31
ოფენბახი	27	7	10	10	31:45	31
ლაუტერნი	27	5	10	12	25:32	25
აუე	27	6	7	14	36:46	25
კარლ ცაისი	27	6	7	14	39:50	25
პადერბორნი	27	4	10	13	20:38	22

პორტუგალია

სუპერლიგა. XXV ტური

ლეიშოეში 1:2 ბელენენსეში

0:1, 0:2 ველდონი (27, 54), 1:2 მაჩადუ (82)

პორტუ	25	20	3	2	49:9	63
ბენფიკა	25	11	12	2	40:16	45
გიმარაეში	25	13	6	6	29:25	45
სპორტინგი	25	12	7	6	38:22	43
სეტუბალი	25	10	11	4	34:23	41
ბელენენსეში	25	9	9	7	27:27	36
მარიტიმუ	25	10	4	11	28:25	34
ბრაგა	25	8	10	7	27:27	34
ნასიონალი	25	8	8	9	18:20	32
ბოავიშტა	25	7	11	7	30:37	32
ამადორა	25	6	10	9	29:35	28
ნავალი	25	7	5	13	20:39	26
აკადემიკა	25	4	12	9	23:35	24
ლეიშოეში	25	3	13	9	24:31	22
ფერეირა	25	5	5	15	25:42	20
ლეირია	25	1	6	18	18:46	9

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XXV ტური

პლზენი 0:0 სლავია

სპარტა	24	15	5	4	45:18	50
სლავია	24	14	8	2	36:15	50
ბანიკი	24	11	9	4	40:23	42
ბრნო	24	12	6	6	35:29	42
ტეპლიცე	24	12	5	7	31:22	41
ლიბერეცი	24	9	7	8	28:24	34
პლზენი	24	8	7	9	22:28	31
ბოლესლავი	24	7	9	8	28:31	30
ზლინი	24	8	6	10	22:27	30
ჟიჟკოვი	24	7	7	10	29:41	28
ბუდეიოვიცე	24	7	6	11	25:29	27
სიგმა	24	5	12	7	15:20	27
იაბლონეცი	24	6	8	10	16:23	26
კლადნო	24	4	8	12	25:36	20
მოსტი	24	4	8	12	27:42	20
ბოჰემიანსი	24	3	9	12	17:33	18

შვედეთი

ალსვენსკა. II ტური

ჰამარბი 5:3 სუნდსვალი

კალმარი 3:1 ლიუნგსკილე

ელფსბორგი 3:0 აიკ

ჰამარბი	2	2	0	0	6:3	6
გიოტებორგი	2	1	1	0	5:2	4
ელფსბორგი	2	1	1	0	4:1	4
ჰელსინგბორგი	2	1	1	0	4:1	4
კალმარი	2	1	1	0	3:1	4
იურგორდენი	2	1	1	0	3:2	4
ჰალმსტადი	2	1	1	0	2:1	4
ტრელებორგი	2	1	0	1	3:2	3
გეფლე	2	1	0	1	2:1	3
იორებრო	2	1	0	1	2:4	3
მალმიო	2	0	2	0	2:2	2
გაის	2	0	1	1	2:4	1
აიკ	2	0	1	1	0:3	1
ლიუნგსკილე	2	0	0	2	1:4	0
ნორჩიოპინგი	2	0	0	2	1:4	0
სუნდსვალი	2	0	0	2	3:8	0

ნორვეგია

ტიპელიგა. II ტური

სტრომსგოდსეტი 3:2 რუსენბორგი

სტაბეკი	2	1	1	0	4:2	4
ტრომსიო	2	1	1	0	3:1	4
ალესუნდი	2	1	0	1	4:3	3
ლინი	2	1	0	1	4:3	3
ბრანი	2	1	0	1	6:6	3
რუსენბორგი	2	1	0	1	4:4	3
სტრომსგოდსეტი	2	1	0	1	3:3	3
ვიკინგი	2	1	0	1	3:3	3
ბოდიო გლიმტი	2	1	0	1	3:3	3
ფრედრიკსტადი	2	1	0	1	4:5	3
ჰამ კამი	2	1	0	1	3:4	3
ვოლერენგა	2	1	0	1	1:2	3
მიოლდე	2	0	1	1	1:2	1
ლილესტრიომი	2	0	1	1	3:5	1

შოტლანდია

პრემიერლიგა. XXXIII ტური

აბერდინი 2:1 ფოლკირკი

1:0 მაგუაირი (22), 1:1 ფინიგანი (49), 2:1 მაგუაირი (82)

რეინჯერსი	30	24	3	3	73:24	75
სელტიკი	31	21	5	5	69:21	68
მოზერუელი	31	16	4	11	41:35	52
დანდი იუნ.	33	14	8	11	48:38	50
ჰიბერნიანი	33	14	8	11	47:38	50
აბერდინი	33	12	8	13	43:53	44
ფოლკირკი	33	11	9	13	40:44	42
ჰარტსი	33	11	9	13	42:48	42
ინვერნესი	33	11	3	19	41:58	36
კილმარნოკი	33	8	9	16	34:46	33
სენტ მირენი	31	8	8	15	22:48	32
გრეტნა	32	4	4	24	29:76	16

დანია

სუპერლიგა. XXIII ტური

ორჰუსი 0:0 ვიბორგი

ოლბორგი	23	15	4	4	45:30	49
კოპენჰაგენი	23	12	7	4	32:18	43
მიდტიუელანდი	23	12	5	6	33:25	41
ოდენსე	23	9	11	3	35:17	38
ესბიერგი	23	10	4	9	44:36	34
ჰორსენსი	23	9	7	7	30:30	34
ნორდსიელანდი	23	8	8	7	33:31	32
რანდერსი	23	8	6	9	27:21	30
ბრონდბიუ	23	8	6	9	31:31	30
ორჰუსი	23	5	6	12	20:31	21
ვიბორგი	23	4	3	16	19:48	15
ლიუნგბიუ	23	2	5	16	21:52	11

უკეთესი ფეხბურთელი და ადამიანი



თეო უოლკოტი

თეო უოლკოტი 16 მარტს არის დაბადებული, რაც იმას ნიშნავს, რომ 19 წელიწადს, სულ რამდენიმე კვირაა, რაც გადააბიჯა, მაგრამ უკვე კაცია და, რაც ყველაზე საინტერესოა, ზუსტად იცის, პატარა ბიჭიდან კაცად როდის გარდაისახა — იმ დღეს, როდესაც მთელი სიმამაცე მოიკრიბა და არსენ ვენგერთან პირდაპირი საუბარი გაბედა.

„ხანდახან საშინლად მწყდებოდა გული — უამბო არსენალელმა ვარსკვლავმა The News of The World-ს — რა თქმა უნდა, იყო პერიოდები, როდესაც კარგ ფორმაში არ გახლდით და ძირითად შემადგენლობაში თამაშს არ ვიმსახურებდი, მაგრამ იყო ისეთი დღეებიც, როცა თავს საუცხოოდ ვგრძნობდი, მაგრამ არ მათამაშებდნენ. ეს ძალიან ძნელი გადასატანი გახლდათ. ამიტომაც, ერთ მშვენიერ დღეს მთელი გამბედაობა მოვიკრიბე და არსენ ვენგერთან მივედი, რათა მეკითხა, კიდევ რა უნდა მექნა, რათა „არსენალის“ ძირითად შემადგენლობაში მოვხვედრილიყავი. დიახ, მწვრთნელი საუბარზე მე გამოვიწვიე და, შესაბამისად, ლაპარაკიც მე უნდა დამეწყო. ეს საკმაოდ რთული საქმე გამოდგა. ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ მიხარია, რომ შევძელი.

და ყველაზე კარგი ის გახლდათ, რომ ვენგერმა ჩემი მისვლა ძალიან კარგად მიიღო. ის მიხვდა, რომ 18 წლის ბიჭისგან უმაღლესი რანგის მწვრთნელთან მისვლა და ძირითად შემადგენლობაში თამაშზე ლაპარაკის გაბედვა დიდი საქმე იყო“.

საუბარი, რომლის შესახებაც უოლკოტი ყვება, ამ სეზონის დასაწყისში შედგა, თუმცა მას შემდეგ ფეხბურთელი ავტომატურად ძირითადის წევრად როდი ქცეულა. რა სტატუსი მიიღო იმ საუბრის შემდეგ თეო უილკოტმა? ამერიკელები რომ იტყვიან, „მიდი, გახდი“-ს სტატუსი. უოლკოტი შეიქნა მოთამაშედ, რომლსაც მწვრთნელი ენდობა და ფიქრობს, რომ საჭიროების შემთხვევაში, მისი საქმეში ჩართვა შეიძლება.

„ჩემი დღევანდელი მდგომარეობა სრულიად დამაკმაყოფილებელია. განა ბევრი 19 წლის ბიჭი აკეთებს იმას, რასაც მე ვაკეთებ? — ამბობს ფეხბურთელი — ბოლოს და ბოლოს „არსენალის“ სათადარიგოთა სკამზე ჯდომაც კი დიდი პატივია. ხოლო როდესაც სათადარიგოთა სკამიდან ვდგები, რათა მოედანზე შევიდე, ბედნიერი ვარ, რადგან ვიცი, რომ გუნდსაც და მაყურებელსაც იმედს ვუსახავ, ემოციას ვიწვევ. სხვა ამბავია, რომ ამაზე გაჩერება არ შეიძლება და ყველა ღონე უნდა ვიხმარო, რათა ძირითადი შემადგენლობის მუდმივი წევრი გავხდე“.

მიმომხილველები ამბობენ, რომ „არსეალში“ თეო უოლკოტის გამოჩენის შემდეგ, ვენგერმა, ლამის ცხოვრებაში პირველად, შეურია გუნდის თამაშში ბურთის შორს გადაგდება, გრძელი პასი.

უოლკოტი: „ვენგერი შემადგენლობას ნელ-ნელა მაგუებდა. ახლა ეს დონე უკვე ათვისებული მაქვს და შემდეგ საფეხურზე მინდა ასვლა“.

და რას ნიშნავს ეს „შემდეგი საფეხური“? ზოგის აზრით, უოლკოტის შემთხვევაში ეს სხვა არაფერია, თუ არა „მეთოფეთა“ რიგებში ტიერი ანრის გაკარიელებული ადგილის შევსება. დიახ, ემანუელ ადებაიორმა ლონდონელებს დაკუნთული, მებრძოლი ცენრფორვარდი შემატა, მაგრამ სწრაფი, გამჭოლი თავდამსხმელი ვენგერის გუნდს მეტისმეტად აკლია.

„ვენგერმა მირჩია, ჩემი სტილით მეთამაშა, მაგრამ უფრო აგრესიული გავმხდარიყავი. აგრესიულობა უხეშობას და ჩხუბს კი არ ნიშნავს, აქ შეტევის გამძაფრება იგულისხმება. ვფიქრობ, მწვრთნელის დავალებას ვასრულებ. მგონი ვხვდები, რაც აქვს შეფს ჩაფიქრებული, მას უნდა, მომავალ სეზონში უკვე ჩამოყალიბებულ ფორვარდად გარდავიქმნა და, მართალი გითხრათ, მეც ამისთვის ვემზადები. რასაკვირველია, გუნდის გულისთვის სადაც საჭიროა, იქ ვითამაშებ, მაგრამ მაინც თავდამსხმელის მომავალი მიჩანს.

რაც შეეხება ჩემი და ტიერი ანრის შედარებას, ამას საკუთრივ მე ვერასოდეს გავბედავ, რადგან ტიერი შეუდარებელი ვარსკვლავია. „არსენალში“ რომ მიმიღეს, პირველი რაც გავაკეთე, ეს იყო: ანრისთან მივირბინე და ჩემთან ფოტოს გადაღება ვთხოვე.

მაგრამ მაშინ ვარსკვლავების გარემოცვაში მოხვედრამ დამთრგუნა, ახლა კი პრემიერლიგას და გარემოს შევეგუე. თან, ვიცი, რომ ამჰლუიით ვენგერი მეც ანრის მსგავსად აღმიქვამს — ფრთიდან მაწყებინებს შეტევას. როგორც ზემოთ გითხარით, ვფიქრობ, მომავალში უფრო წინაც გამწევს, მაგრამ ჯერჯერობით მიფრთხილდება. მეუბნება, რომ ვარჯიშებზე დამაგვირგვინებელ დარტყმას მივაქციო მეტი ყურადღება, განსაკუთრებით კი მარცხენა ფეხით მუშაობა მაქვს დასახვეწი“.

თეო უოლკოტი „არსენალში“ „საუთჰემპტონიდან“ რომ გადავიდა, 16 წლისა გახლდათ. უფრო სწორედ კი, ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში იყო ყველაზე ძვირი 16 წლის ბიჭი. მისგან უკვე მაშინ ელოდნენ ძალიან ბევრს. მერე, ჯერ „არსენალის“ ძირითადში თამაში სად იყო, სვენ-გორან ერიკსონმა თეო ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ წაიყვანა, მაშინ ხომ სულ ადუღდა ყველაფერი.

„მაშინ, როგორც ჩანს, ყველას დაავიწყდა, რომ არც „არსენალის“ შემადგენლობაში მქონდა ნათამაშები და არც მსოფლიოს ჩემპიონატზე, ყველა რაღაც განსაკუთრებულს ითხოვდა ჩემგან — გულწრფელად ყვება უოლკოტი, რომელსაც იმ სეზონის ბოლოს მხრის ტკივილმაც დარია ხელი — და როდესაც ჩემი მხრის ამბავი გახმაურდა, მოწინააღმდეგეებმა კი სწორედ იმ მხარში დაიწყეს დაჯახება, მივხვდი, რომ კოშმარში ვიყავი. ხანდახან საშინელი ტკივილი დამეტაკებოდა ხოლმე. კიდევ კარგი, ეს წარსულშია. მოკლედ, 2006-დან საკმაოდ ძნელი ორი წელიწადი გავიარე, მაგრამ ვგონებ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და დღეს უკეთესი ფეხბურთელიც ვარ და უკეთესი ადამიანიც“.

ამ ორი წლის განმავლობაში თეო უოლკიტს მხარში ყველაზე მეტად მშობლები, ლინი და დონი ედგნენ. უოლკოტების ოჯახი ჩრდილოეთ ლონდონში, ხუთოთახიან სახლში ცხოვრობს.

„ჩემი გულისთვის მამაჩემმა სამსახური დაკარგა — ყვება არსენალელი — „საუთჰემპტონში“ რომ ვიყავი, ჰარი რედნაპმა „ლიდსთან“ თამაშის წინ მითხრა, დღეს მოედანზე უნდა შეგიყვანოო და მეც იმწუთას მამაჩემს დავურეკე. მამაჩემმა სამსახურში უფროსს იმ დღით განთავისუფლება სთხოვა, მან კი პირდაპირ ამ სიტყვებით არა, მაგრამ ფაქტობრივად ასე უთხრა, აირჩიე, შვილი ან სამსახური. მამას პასუხი დიდხანს ნამდვილად არ უძებნია და როდესაც ეს ისტორია მაგონდება, გაორმაგებული ძალით ვთამაშობ ხოლმე“.

პაპუნა კვედია

უილბლოზე მეტი

პეტრ ჩეხი

პეტრ ჩეხი ვარჯიშზე ტალ ბენ-ჰაიმს დაეჯახა და... „ჩელსის“ ჩეხი გოლკიპერისთვის ჩემპიონატიც აქ დასრულდა, არადა, მას წუხელ „ფენერბაჰჩესთან“ უნდა ეთამაშა.

ახლა, გოლკიპერს სახეზე 50 ნაკერი სჭირდება, ჭრილობის შეხორცების შემდეგ კი კოსმეტიკური ოპერაცია იქნება აუცილებელი.

„რაღაც სერიოზული რომ მოხდა, იმწამსვე შევატყვეთ. აბა, იმხელა ტანის ადამიანი, როგორიც პეტრია, ასე მოწყვეტით არ უნდა ვარდებოდეს. თანაც სისხლმა ისე იფეთქა, იმდენი დაიღვარა, რომ ლამის შოკში ჩავვარდით“ — უთხრა „სანის“ ჟურნალისტებს მავანმა, ვინც ვარჯიშს ესწრებოდა. ბუნებრივია, ჩეხი დაუყოვნებლივ გააქანეს საავადმყოფოში. როგორც ჩანს, ამ 25 წლის ადამიანს ბედი არ სწყალობს. მოგეხსენებათ, ამასწინათ მან კოჭი იტკინა და ბოლო დღემდე ამ კოჭს მკურნალობდა, 18 თვის წინ კი თავი გაიტეხა, რის შემდეგაც მოედანზე ჩაფხუტით გამოდის.

ავრაამ გრანტი: „მართლაც, ჩეხი ამ სეზონში უიღბლოზე მეტიც კია. ახალგამოჯანმრთელებულმა ისევ მოასწრო დაშავება. ამ წელიწადს პეტრი უკვე მესამედ შეიქნა საექიმო, არადა ვარჯიშებზე ძალიან მომწონდა“.

პაპუნა კვედია

მზე და ბრაზილია

...ბრაზილიაში კი, რასაკვირველია, ბედნიერები არიან. ამინდი, ბატონო ჩემო, მშვენიერია, პლაჟის ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატს ისინი მასპინძლობენ და ლამაზ-ლამაზი ქალებიც მზეს ეფიცხებიან. მზე ხომ მათთვის ამოდის...

რეკლამა და ფეხბურთი



ზოგი ამბობს, რომ ფეხბურთი 22 ადამიანის თამაშია, გამარჯვებულები კი ყოველთვის გერმანელები არიან. ზოგი დარწმუნებულია, ფეხბურთში ყველაფერი ლოგიკურად რომ იყოს, ყოველთვის ბრაზილია მოიგებდაო. ზოგიც ჩემპიონთა ლიგაში კაკას გატანილ გოლებს ითვლის და მის საოცარ თამაშზე ლაპარაკობს. თუმცა ცოტამ თუ იცის, რეალურად რა უჯდება „მილანს“ თავისი ლიდერის შენახვა. დღესდღეობით ფეხბურთი ის სპორტია, რომელსაც 22 მილიონერი თამაშობს და მათ ორი მილიარდერი აკვირდება.

2007 წელს კაკა მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ ფაქტობრივად ყველა პრესტიჟულმა გამოკითხვამ აღიარა. „ოქროს ბურთის“ მოქმედი მფლობელის შენახვა „მილანს“ წელიწადში 9 მილიონი ევრო უჯდება, ივი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია.

მეორე ადგილზე კაკას თანამემამულე რონალდინიოა. „ბარსელონას“ ვასკვლავს პირველობამდე სულ რაღაც ნახევარი მილიონი ევრო აკლია. მეხუთე ადგილზე კი მისი თანაგუნდელი ტიერი ანრია.

საუკეთესოთა ათეულში დარჩენილ 7 ადგილზე ინგლისის პრემიერლიგის მოთამაშეები არიან, რაც გასაკვირი არც არის. პრემიერლიგაში საშუალო ხელფასი ხომ სამჯერ მეტია, ვიდრე სერია A-სა და პრიმერადივიზიონში. ისე, ამ „ბრწყინვალე შვიდეულიდან“ ინგლისელი მხოლოდ სამია.

ეს ყველაფერი მხოლოდ მედლის ერთი მხარე გახლავთ. როცა საქმეში რეკლამა ერთვება, რადიკალურ ცვლილებებს ვხედავთ. თუ ფეხბურთელთა ხელფასებს რეკლამებიდან მიღებულ შემოსავლებსაც დავუმატებთ, ყველაზე მაღალანაზღაურებადი კაკა ათეულშიც ვერ მოხვდება. პირველ ადგილზე კი, იცით, ვინ არის? „ლოს ანჯელეს გელექსის“ ინგლისელი ნახევარმცველი დევიდ ბექემი, რომელიც ხელფასის ოდენობით საუკეთესოთა 50-ეულშიც კი ვერ ხვდება და მას ისეთი, შედარებით ნაკლებად პოპულარული ფეხბურთელებიც უსწრებენ, როგორიც სოლ კემბელია.

მეორე ადგილზე ამ შემთხვევაშიც რონალდინიოა. ათეულში ჩნდებიან სერია A-ს მოთამაშეები. მეექვსე ადგილზე „იუვენტუსის“ ქარიზმატული ლიდერი ალესანდრო დელ პიერროა, რომელიც ამტკიცებს, რომ ნამდვილი ტალანტი არსად იკარგება — არც სერია B-ში საუკეთესოთა ათეულში პრემიერლიგას შვიდის ნაცვლად 5 წარმომადგენელი ჰყავს.

ბოკი კანდელაკი

2007 წლის მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელები

კაკა (მილანი)	9
რონალდინიო (ბარსელონა)	8,52
ჯონ ტერი (ჩელსი)	8,04
ფრენკ ლამპარდი (ჩელსი)	8,04
ტიერი ანრი (ბარსელონა)	7,8
კრიშტიანუ რონალდუ (მანჩესტერი)	7,68
მიხაელ ბალაკი (ჩელსი)	7,44
ანდრეი შევჩენკო (ჩელსი)	7,44
სტივენ ჯერარდი (ლივერპული)	6,78
უეინ რუნი (მანჩესტერი)	6,78

2007 წლის ყველაზე შემოსავლიანი ფეხბურთელები (ხელფასებისა და სარეკლამო კონტრაქტების ჯამი)

ფეხბურთელი	ხელფასი	რეკლამა	სულ
დევიდ ბექემი (ლოს ანჯელეს გელექსი)	4,5	17,25	21,75
რონალდინიო (ბარსელონა)	8,52	11,73	20,25
უეინ რუნი (მანჩესტერი)	6,78	8,77	15,55
კრიშტიანუ რონალდუ (მანჩესტერი)	7,68	5,5	13,18
ტიერი ანრი (ბარსელონა)	7,8	4,0	11,8
ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი)	4,8	5,86	10,66
ჯონ ტერი (ჩელსი)	8,04	2,1	10,14
ფრენკ ლამპარდი (ჩელსი)	8,04	1,64	9,68
ფრანჩესკო ტოტი (რომა)	5,46	3,43	8,89
სტივენ ჯერარდი (ლივერპული)	6,78	1,64	8,42

თანხები მოცემულია მილიონ ევროებში

ძმამ ძმა უარყო

რონალდინიო „ბარსელონადან“ წასვლას არ აპირებს — განაცხადა მისმა ძმამ და აგენტმა რობერტო ასისმა, რომელიც „მანჩესტერ სიტისა“ და „ჩელსის“ მატჩზე ნახეს. „გარდიანმა“ გუშინწინ დაწერა, რომ იგი ცნობილ აგენტს პინი ზაჰავის შეხვდა, მერე კი „სიტის“ შეფებსაც ესაუბრა. ამბობდნენ, რომ სიტელთა პატრონო ტაქსინ შინაკატრა რონალდინიოს გადაბირებას აპირებსო, მაგრამ ძმამ უარყო: „ჩემი პროფესიის გამო მოგზაურობა მიწევს და საქმიანი შეხვედრები მაქვს, თუნც ეს ვიზიტი რონალდინიოს არ ეხებოდა. მას „ბარსელონასთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს და მანამდე კლუბის გამოცვლას არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ტრავმის გამო პრობლემები აქვს“.

ვეება ნაკრებს ემშვიდობება

„ნიურნბერგის“ ნეხი ფორვარდი იან კოლერი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ სანაკრებო კარიერას დაასრულებს. ეროვნული გუნდის მაისურით მან 85 მატჩში 52 გოლი გაიტანა, რაც ნაკრების ისტორიაში საუკეთესი შედეგია. „ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა და აღარ შეიცვლება“ — განცხადა ვეება თავდამსხმელმა, რომელიც „ნიურნბერგში“ შარშან ზაფხულს „მონაკოდან“ გადავიდა.

რეალი გაყიდულს იყიდის

„ასის“ ცნობით, მადრიდის „რეალი“ „ხეტაფედან“ რუბენ დე ლა რედის ყიდვას 4 მილიონ 500 ათას ევროდ აპირებს. ფეხბურთელი „რეალმა“ შარშან ზაფხულს სამ მილიონად დაუთმო „ხეტაფეს“, რომელთანაც დე ლა რედმა ოთხწლიანი ქონტრაქტი გააფორმა. ბიჭი ისე ათამაშდა, რომ ლუის არაგონესმა ნაკრებში უხმო. კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, ნაკრებში გამოძახების შემთხვევაში, „რეალი“ დე ლა რედის გამოსყიდვის უფლებას იტოვებს და სწორედ ამ პუნქტით სარგებლობა სურს სამეფო კლუბს.

დიუფი ზენიტს: არა!

„მარსელის“ პრეზიდენტმა პაპ დიუფმა კატეგორიული უარით გაისტუმრა „ზენიტი“, რომელსაც მატიე ვალბუენას შეძენა სურს.

ფრანგი ნახევარმცველის თამაში ზენიტელთა მწვრთნელს დიკ ადვოკაატს მოეწონა, როცა ეს გუნდები უეფას თასის მერვედფინალში შეხვდნენ. „ვალბუენა არ იყიდება! — ბრძანა „მარსელის“ შეფმა — იგი მომდევნო სეზონშიც ჩვენთან ითამაშებს“.

ვან დერ საარი ფიქრობს

„მანჩესტერის“ ჰოლანდიელმა მეკარემ ედვინ ვან დერ სარმა თქვა, რომ სანაკრებო კარიერას ალბათ ევრო 2008-ის მერე დაამთავრებს.

მარკო ვან ბასტენმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ დროა, ვან დერ სარი ახალგაზრდამ შეცვალოს. „იმის გარანტია არ არსებობს, რომ 2009 წელსაც კარგ ფორმაში ვიქნები, ამიტომ საბოლოო გადაწყვეტილებას მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე მივიღებ“ — აღნიშნა 37 წლის მეკარემ.

გადაფურცლეთ ადვოკაატი

ჟურნალისტმა მარტენ მეიერმა დიკ ადვოკაატზე წიგნი დაწერა, რომლის პრეზენტაციაც 14 აპრილს გაიმართება. „დიდი ხანია, ამ კაცზე და მის სამწვრთნელო კარიერაზე დაწერა მსურდა — განაცხადა ჟურნალისტმა — რითია იგი ტიპიური ჰოლანდიელი მწვრთნელი და რითი — არა. ეს წიგნი ბევრის ცნობისმოყვარეობას დააკმაყოფილებს. რატომ მოჰყვება ხოლმე ადვოკაატის გამოჩენას ამა თუ იმ გუნდში დიდი აურზაური? რატომ აღწევს წარმატებას იქ, სადაც სხვები ხელმოცარულნი რჩებიან? აი, ამას და კიდევ ბევრ საინტერესო ამბავს გაიგებს მკითხველი“.

მერკი აღარ დაუსტვენს

გერმანელი მსაჯი მარკუს მერკი სეზონის დასრულების შემდეგ სასტვენს თაროზე შემოდებს და კარიერას დაამთავრებს. 46 წლის გერმანელს შეეძლო კიდევ ნახევარი წელი ემსაჯა და მერე წასულიყო, მაგრამ ფიფას წესის ამოქმედებას არ დაელოდება.

„სჯობს ახლა წავიდე, როცა პოზიტიური მომენტები უფრო მეტია, ვიდრე ნეგატიური“ — თქვა მერკმა, რომელიც ფიფამ სამჯერ (2004, 2005, 2007) დაასახელა წლის საუკეთესო არბიტრად. ბუნდესლიგაში 333 მატჩი იმსაჯა, საერთაშორისო შეხვედრები კი 50 მოუგრავდა, მათ შორის მისთვის ყველაზე საამაყო ევრო 2004-ის ფინალია.

ზეედორფს ღამურა ეძახის

„მილანის“ ჰოლანდიელი ნახევარმცველი კლარენს ზეედორფი ამ ზაფხულს შესაძლოა, „ვალენსიაში“ აღმოჩნდეს. ესპანური კლუბი ფეხბურთელს ოთხწლიან კონტრაქტს და წელიწადში ოთხ მილიონ ევროს შესთავაზებს — წერს „ტრანსფერმარკეტი“. ჰოლანდიელმა ამ სეზონში „მილანში“ 26 მატჩი ითამაშა და ოთხი გოლი გაიტანა. მისთვის ესპანეთი უცხო არაა, რადგან მადრიდის „რეალში“ ჩემპიონთა ლიგა მოუგია.

ვაჟა ხუციშვილი

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		12 აპრილი						
18:00	2	ტოტენჰემი-მიდლსბრო	1.65	3.60	4.85	1.13	1.23	2.06
18:00	3	ბირმინგემი-ევერტონი	2.80	3.30	2.30	1.51	1.26	1.35
18:00	4	ბოლტონი-ვესტ ჰემი	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
18:00	7	დერბი-ასტონ ვილა	6.60	3.70	1.50	2.37	1.22	1.06
20:15	12	პორტსმუთი-ნიუკასლი	2.10	3.20	3.30	1.26	1.28	1.62
18:00	13	რედინგი-ფულემი	2.00	3.10	3.85	1.21	1.31	1.71
18:00	14	სანდერლენდი-სიტი	2.05	3.20	3.45	1.24	1.28	1.66
		13 აპრილი						
16:30	9	ლივერპული-ბლეკბერნი	1.50	3.70	6.80	1.06	1.22	2.39
19:00	11	მანჩესტერი-არსენალი	1.90	3.30	[illegible]	1.20	1.27	1.78
		14 აპრილი						
23:00	5	ჩელსი-უიგანი	1.25	5.20	11.00	1.00	1.12	3.53
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		9 აპრილი						
22:45	16	უოტფორდი-ბარნსლი	1.60	3.40	5.20	1.08	1.22	2.05
22:45	18	იფსვიჩი-კარდიფი	1.80	3.40	4.00	1.17	1.24	1.83
		12 აპრილი						
18:00	19	პრესტონი-ბარნსლი	1.85	3.30	3.85	1.18	1.24	1.77
18:00	21	ბრისტოლი-ვულვერჰემპტონი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
20:20	22	ვესტ ბრომვიჩი-უოტფორდი	1.95	3.30	3.50	1.22	1.25	1.69
18:00	23	ბარნლი-შეფილდი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
18:00	24	კარდიფი-ბლეკპული	1.85	3.30	3.90	1.18	1.25	1.78
18:00	25	ჩარლტონი-საუთჰემპტონი	1.80	3.20	4.20	1.15	1.25	1.81
18:00	26	ქოვენთრი-სტოკი	2.40	3.20	2.70	1.37	1.27	1.46
18:00	27	კრისტალ პალასი-სკანთორპი	1.50	3.60	6.00	1.05	1.20	2.25
18:00	28	პალი-ქპრ	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
18:00	30	ლესტერი-კოლჩესტერი	1.60	3.50	5.20	1.09	1.22	2.09
		13 აპრილი						
15:00	29	იფსვიჩი-ნორვიჩი	1.90	3.30	3.70	1.20	1.25	1.74
		ინგლისი. I ლიგა						
		11 აპრილი						
22:45	40	დონკასტერი-სუინდონი	1.55	3.50	5.70	1.07	1.21	2.16
		12 აპრილი						
18:00	34	პორტ ვეილი-ჰადერსფილდი	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
18:00	35	საუთენდი-ნორთჰემპტონი	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
18:00	36	ტრანმერი-ნოტინგემი	2.40	3.30	2.60	1.38	1.24	1.45
18:00	37	ბორნმუთი-როვერსი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
18:00	38	იოვილი-ქრიუ	2.05	3.30	3.20	1.26	1.24	1.62
18:00	39	ჩელტენემი-უოლსოლი	2.35	3.30	2.70	1.37	1.25	1.48
18:00	41	ჰარტლპული-მილუოლი	2.05	3.30	3.20	1.26	1.24	1.62
15:15	42	ლიდსი-კარლაილი	2.00	3.30	3.30	1.24	1.24	1.64
18:00	43	ლუტონი-ბრაიტონი	2.70	3.30	2.30	1.48	1.24	1.35
18:00	44	ოლდემი-ლეიტონი	1.85	3.40	3.70	1.19	1.23	1.77
18:00	95	ჯილინგემი-სუონსი	3.20	3.30	2.05	1.62	1.24	1.26
		ინგლისი. II ლიგა						
		9 აპრილი						
22:45	49	სტოკპორტი-მენსფილდი	1.50	3.80	6.00	1.07	1.20	2.32
		12 აპრილი						
18:00	50	დონსი-უიკომბი	1.75	3.30	4.40	1.14	1.25	1.88
18:00	51	მორეკომბი-ჩესტერფილდი	2.45	3.30	2.55	1.40	1.24	1.43
18:00	52	ნოტსი-აკრინგტონი	2.05	3.30	3.20	1.26	1.24	1.62
18:00	53	პიტერბრო-სტოკპორტი	1.80	3.30	4.10	1.16	1.25	1.82
18:00	54	ბარნეტი-ბერი	2.05	3.30	3.20	1.26	1.24	1.62
18:00	55	ბრენტფორდი-ბრედფორდი	2.05	3.30	3.20	1.26	1.24	1.62
18:00	56	ჩესტერი-ლინკოლნი	2.20	3.30	2.90	1.32	1.25	1.54
18:00	57	დაგ ენდ რედი-როჩდეილი	3.00	3.30	2.10	1.57	1.23	1.28
18:00	58	დარლინგტონი-პერეფორდი	2.25	3.30	2.80	1.33	1.24	1.51
18:00	59	გრიმსბი-როტერჰემი	2.05	3.30	3.20	1.26	1.24	1.62
18:00	60	მაკლსფილდი-მენსფილდი	2.00	3.30	3.30	1.24	1.24	1.64
		13 აპრილი						
15:00	61	შრიუსბერი-რექსემი	2.15	3.30	3.00	1.30	1.25	1.57
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		9 აპრილი						
22:45	711	ერდრი-როსი	2.20	3.45	2.70	1.34	1.21	1.51
		გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)						
		9 აპრილი						
21:30	688	ვუპერტალი-ბრაუნშვაიგი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
		გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)						
		9 აპრილი						
20:30	195	ფულენდორფი-რეგენსბურგი	2.45	3.20	2.50	1.38	1.23	1.40
		შვეიცარია. ჩემპიონატი						
		9 აპრილი						
21:45	690	გოსაუ-ვილი	2.50	3.20	2.45	1.40	1.23	1.38

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		იტალია. სერია A						
		12 აპრილი						
20:00	238	პალერმო-კატანია	2.15	2.80	3.75	1.21	1.36	1.60
22:30	240	იუვენტუსი-მილანი	2.25	3.00	3.20	1.28	1.32	1.54
		13 აპრილი						
17:00	235	ჯენოა-ტორინო	2.40	2.50	3.50	1.22	1.42	1.45
17:00	236	ნაპოლი-ატალანტა	2.10	2.90	3.60	1.21	1.32	1.60
17:00	237	ლივორნო-კალიარი	2.25	2.80	3.40	1.24	1.35	1.53
22:30	239	ინტერი-ფიორენტინა	1.60	3.20	6.20	1.06	1.27	2.11
17:00	241	ემპოლი-პარმა	2.25	2.90	3.25	1.26	1.32	1.53
17:00	242	უდინეზე-რომა	3.20	2.90	2.25	1.52	1.32	1.26
17:00	244	რეჯინა-სამპდორია	2.70	2.80	2.80	1.37	1.37	1.39
17:00	245	ლაციო-სიენა	2.05	2.60	4.50	1.14	1.40	1.64
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		12 აპრილი						
23:45	280	უელვა-ბარსელონა	4.90	3.20	1.70	1.93	1.26	1.11
22:00	284	ვალენსია-რასინგი	2.20	3.00	3.10	1.26	1.28	[illegible]
		13 აპრილი						
23:00	275	ალმერია-ვილიარეალი	3.00	3.10	2.25	1.52	1.28	1.30
19:00	277	ვალიადოლიდი-ატლეტიკო	2.80	3.00	2.40	1.44	1.29	1.33
19:00	278	ბეტისი-ლევანტე	1.50	3.60	6.40	1.05	1.21	2.30
19:00	279	ხეტაფე-სარაგოსა	1.95	3.10	3.60	1.19	1.26	1.66
19:00	282	ესპანიოლი-ოსასუნა	1.95	3.10	3.60	1.19	1.26	1.66
19:00	283	დეპორტივო-ბილბაო	2.15	3.00	3.30	1.25	1.30	1.57
21:00	285	რეალი-მურსია	1.15	5.40	16.50	1.00	1.07	4.06
19:00	287	მალიორკა-სევილია	2.35	3.10	2.80	1.33	1.27	1.47
		ესპანეთი. II დივიზიონი						
		12 აპრილი						
20:30	288	სელტა-სოსიედადი	2.40	2.95	2.80	1.32	1.29	1.43
20:30	289	ჰერკულესი-კასტელონი	2.25	2.95	3.10	1.27	1.30	1.51
20:30	290	კორდობა-ეიბარი	2.20	2.85	3.30	1.24	1.32	1.52
20:30	293	ტენერიფე-ელჩე	2.25	2.90	3.15	1.26	1.31	1.50
20:00	294	გრანადა -სერესი	2.05	3.00	3.50	1.21	1.29	1.61
		13 აპრილი						
19:00	291	ალავესი-ეხიდო	2.00	3.00	3.65	1.20	1.29	1.64
19:00	292	სალამანკა-ლას პალმასი	1.95	3.00	3.80	1.18	1.28	1.67
19:00	295	კადისი-ალბასეტე	2.05	2.90	3.65	1.20	1.31	1.61
14:00	296	სევილია ბ-ნუმანსია	2.80	2.85	2.50	1.41	1.32	1.33
14:00	297	მალაგა -სპორტინგი	2.15	3.00	3.25	1.25	1.29	1.55
19:00	298	ტარაგონა-ფეროლი	2.20	3.00	3.15	1.26	1.29	1.53
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		9 აპრილი						
20:30	689	სტ.ეტიენი-ლანსი	1.95	3.00	3.80	1.18	1.28	1.67
		12 აპრილი						
22:00	299	მონაკო-ტულუზი	1.95	2.90	4.00	1.16	1.31	1.68
22:00	300	ლე მანი-ოსერი	2.05	3.00	3.50	1.21	1.29	1.61
22:00	303	ლორიანი-ლანსი	2.20	2.90	3.30	1.25	1.32	1.54
22:00	304	მეცი-მარსელი	4.60	3.25	1.70	1.90	1.24	1.11
22:00	305	ლილი-ნანსი	2.15	2.90	3.40	1.23	1.31	1.56
19:10	307	ლიონი-რენი	1.40	3.85	7.00	1.02	1.16	2.48
22:00	309	სოშო-სტ.ეტიენი	2.05	2.90	3.70	1.20	1.31	1.62
22:00	310	ვალენსიენი-სტრასბური	1.95	2.90	4.00	1.16	1.31	1.68
		13 აპრილი						
20:00	301	ბორდო-კაენი	1.50	3.50	6.00	1.04	1.20	2.21
22:45	306	პსჟ-ნიცა	2.00	3.00	3.70	1.20	1.29	1.65
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		10 აპრილი						
22:30	312	მონპელიე-ბასტია	2.15	2.90	3.40	1.23	1.31	1.56
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		13 აპრილი						
16:30	343	ტილბურგი-ფეიენოორდი	3.60	3.40	1.90	1.74	1.24	1.21
16:30	344	პსვ-ტვენტე	1.55	3.60	5.80	1.08	1.22	2.22
16:30	345	ექსელსიორი-ალკმაარი	3.00	3.30	2.15	1.57	1.25	1.30
16:30	346	ჰერაკლესი-ბრედა	3.50	3.40	1.90	1.72	1.23	1.21
16:30	348	გრაფშხაპი-უტრეხტი	2.45	3.20	2.65	1.38	1.27	1.44
16:30	349	ნაიმეგენი-ვიტესი	2.00	3.20	3.45	1.23	1.26	1.66
16:30	350	როდა-ვენლო	1.45	3.80	6.50	1.04	1.18	2.39
16:30	351	გრონინგენი-აიაქსი	3.40	3.40	2.00	1.70	1.25	1.25
16:30	353	სპარტა-ჰერენვენი	3.40	3.40	2.00	1.70	1.25	1.25
		პორტუგალია. სუპერლიგა						
		11 აპრილი						
23:30	372	ბენფიკა-აკადემიკა	1.25	5.20	9.00	1.00	1.09	3.29
		12 აპრილი						
22:00	364	გიმარაეში-ბოავიშტა	1.70	3.25	4.70	1.11	1.24	1.92

შესაძლო ცვლილებები დაზუსტეთ ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	370	სეტუბალი-პორტუ	4.25	3.20	1.80	1.82	1.26	1.15
20:00	374	ამადორა-ბელენენსეში	2.35	3.00	2.80	1.31	1.27	1.44
		13 აპრილი						
19:00	366	ნასიონალი-ფერეირა	1.75	3.25	4.40	1.13	1.25	1.86
19:00	367	ნავალი-მარიტიმუ	2.45	3.10	2.70	1.36	1.28	1.44
22:15	369	სპორტინგი-ლეიშოეში	1.22	5.50	10.00	1.00	1.08	3.54
		14 აპრილი						
22:45	368	ბრაგა-ლეირია	1.30	4.70	8.00	1.01	1.11	2.96
		დანია. I დივიზიონი						
		9 აპრილი						
21:00	709	ლოლანდი-ფრემი	2.15	3.40	2.90	1.31	1.23	1.56
21:00	710	იოლსტიკე-ჰელერუპი	2.55	3.50	2.35	1.47	1.22	1.40
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		12 აპრილი						
21:00	445	რუსენბორგი-ფრედრიკსტადი	1.50	3.70	5.90	1.06	1.19	2.27
		13 აპრილი						
20:00	444	მოლდე-ტრომსიო	2.50	3.30	2.50	1.42	1.25	1.42
20:00	446	ბოდიო გლიმტი-სტაბეკი	3.00	3.30	2.15	1.57	1.25	1.30
20:00	449	ლინი-ჰამ კამი	1.65	3.40	4.75	1.11	1.22	1.98
		შვედეთი. ალსვენსკა						
		9 აპრილი						
21:00	462	გეფლე-იურგორდენი	2.90	3.25	2.20	1.53	1.25	1.31
21:45	463	ჰალმსტადი-გიოტებორგი	2.90	3.25	2.20	1.53	1.25	1.31
21:00	464	ნორჩიოპინგი-ტრელებორგი	2.05	3.25	3.25	1.25	1.25	1.62
		10 აპრილი						
21:00	465	ლიუნგსკილე-ჰელსინგბორგი	4.50	3.50	1.65	1.96	1.20	1.12
21:00	466	მალმიო-ელფსბორგი	2.05	3.25	3.25	1.25	1.25	1.62
21:00	467	აიკ-სუნდსვალი	1.40	3.85	7.00	1.02	1.16	2.48
21:00	468	გაის-ჰამარბი	2.80	3.20	2.30	1.49	1.26	1.33
22:00	469	იორებრო-კალმარი	3.25	3.25	2.05	1.62	1.25	1.25
		ჩემპიონთა ლიგა						
		9 აპრილი						
22:45	89	ბარსელონა-შალკე	1.40	4.00	8.00	1.03	1.19	2.66
22:45	90	მანჩესტერი-რომა	1.70	3.40	5.20	1.13	1.28	2.05
		უეფას თასი						
		10 აპრილი						
20:30	91	ზენიტი-ლევერკუზენი	2.05	3.30	3.35	1.26	1.27	1.66
22:45	92	ხეტაფე-ბაიერნი	3.15	3.20	2.20	1.58	1.29	1.30
22:45	93	პსვ-ფიორენტინა	2.20	3.20	3.20	1.30	1.30	1.60
22:45	94	სპორტინგი-რეინჯერსი	1.85	3.20	4.10	1.17	1.27	1.79
		შერეული						
		9 აპრილი						
17:30	108	ლოკომოტივი ხოფ-ლიტექსი(ბულ)	2.60	3.10	2.35	1.41	1.23	1.33
20:00	121	დაჩია-გლორია(რუმ)	1.75	3.20	3.85	1.13	1.20	1.74
		10 აპრილი						
17:00	122	არადი-ფარული(რუმ)	2.20	3.00	2.95	1.26	1.26	1.48

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:30	123	უნირეა-ეკომაქსი კლუჟი(რუმ)	2.85	3.00	2.25	1.46	1.25	1.28
		12 აპრილი						
14:00	109	ჩერნომორეცი-არსენალი(უკრ)	2.00	3.00	3.30	1.20	1.24	1.57
14:00	110	დნეპრი-შახტარი(უკრ)	3.80	3.10	1.80	1.70	1.22	1.13
14:00	111	დინამო-ტავრია(უკრ)	1.25	4.30	9.50	1.00	1.10	2.96
		დანია. თასი						
		9 აპრილი						
20:15	686	ბრიონდბიუ-მიდტიულანდი	1.90	3.30	3.70	1.20	1.25	1.74
20:45	687	კოპენჰაგენი-ერსბიერგი	1.40	3.80	7.00	1.02	1.16	2.46
		ლიბერტადორესის თასი						
		9 აპრილი						
23:45	694	არსენალი-ფლუმინენსე	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
23:45	695	ჩივასი-სანტოსი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
23:45	696	სიენსიანო-ფლამენგო	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
		10 აპრილი						
23:45	697	კოლო კოლო-მარაკაიბო	1.22	5.50	9.00	1.00	1.07	3.41
23:45	698	აუდასი-სან პაულო	2.90	3.20	2.20	1.52	1.25	1.30
23:45	699	სპორტივო ლუკუენო-ატლ.ნასიონალი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
		ჰოკეი.NHL						
		9 აპრილი						
23:45	705	პიტსბურგი-ოტავა	1.70	4.10	3.50	1.20	1.14	1.88
23:45	706	ნიუ ჯერსი-რეინჯერსი	2.20	3.90	2.45	1.40	1.15	1.50
23:45	707	მინესოტა-კოლორადო	2.10	4.10	2.55	1.38	1.15	1.57
23:45	708	სან ხოსე-კალგარი	1.70	4.00	3.35	1.19	1.12	1.82
		კალათბურთი. ევროლიგა						
		9 აპრილი						
20:15	124	ცსკა-ოლიმპიაკოსი	1.12	12.00	5.50	1.02	1.00	3.77
22:30	125	ტაუ-პარტიზანი	1.20	12.00	4.30	1.09	1.00	3.16
		10 აპრილი						
21:00	126	მაკაბი-ბარსელონა	1.30	12.00	3.20	1.17	1.00	2.52
		ხელბურთი.კაცები ავსტრიის ჩემპიონატი						
		9 აპრილი						
21:00	685	ალფა გარდი-ფივერზი	2.20	8.50	1.70	1.74	1.00	1.41
		ხელბურთი.კაცები გერმანიის ჩემპიონატი						
		9 აპრილი						
22:15	114	გუმერსბახი-ბერლინი	1.04	12.00	8.50	1.00	1.00	4.97
22:15	115	რეინ ნეკარი-მელსუნგენი	1.03	12.00	10.00	1.00	1.00	5.45
		ხელბურთი.კაცები დანიის ჩემპიონატი						
		9 აპრილი						
19:30	116	ფსკ-სკანდერბორგი	1.02	12.00	13.00	1.00	1.00	6.23
		12 აპრილი						
18:00	117	ხილკენბორგი-ააბ	1.25	10.00	3.80	1.11	1.00	2.75
18:00	118	მორხი-კოლდინგი	9.00	11.00	1.04	4.94	1.00	1.00
18:00	119	ნორდსიელანდი-ორჰუსი	4.00	11.00	1.20	2.93	1.00	1.08
18:00	120	რინგსტედი-სვენდბორგი	9.00	11.00	1.05	4.94	1.00	1.00

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10016	უოტფორდი-ბარნსლი	2.00	2.20	5.30	1.04	1.45	1.55
10018	იფსვიჩი-კარდიფი	2.20	2.10	4.30	1.07	1.45	1.41
10089	ბარსელონა-შალკე	1.80	2.20	6.00	1.00	1.38	1.60
10090	მანჩესტერი-რომა	2.05	2.10	5.30	1.03	1.47	1.50
10091	ზენიტი-ლევერკუზენი	2.30	2.00	4.00	1.06	1.46	1.33
10092	ხეტაფე-ბაიერნი	3.50	2.00	2.50	1.27	1.45	1.11
10093	პსვ-ფიორენტინა	2.50	2.00	3.60	1.11	1.47	1.28
10094	სპორტინგი-რეინჯერსი	2.25	2.00	4.40	1.05	1.48	1.37
10686	ბრიონდბიუ-მიდტიულანდი	2.30	2.00	4.00	1.06	1.46	1.33
10687	კოპენჰაგენი-ერსბიერგი	1.75	2.30	6.50	1.00	1.37	1.69
10689	სტ.ეტიენი-ლანსი	2.35	2.00	3.80	1.08	1.45	1.31

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11016	უოტფორდი-ბარნსლი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11018	იფსვიჩი-კარდიფი	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11089	ბარსელონა-შალკე	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11090	მანჩესტერი-რომა	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11091	ზენიტი-ლევერკუზენი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11092	ხეტაფე-ბაიერნი	4.60	10.00	20.00	5.30	4.40	4.40	20.00	10.00	3.30
11093	პსვ-ფიორენტინა	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11094	სპორტინგი-რეინჯერსი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11686	ბრიონდბიუ-მიდტიულანდი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11687	კოპენჰაგენი-ერსბიერგი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11689	სტ.ეტიენი-ლანსი	2.90	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12016	უოტფორდი-ბარნსლი	1.70	1.90
12018	იფსვიჩი-კარდიფი	1.70	1.90
12089	ბარსელონა-შალკე	1.70	1.90
12090	მანჩესტერი-რომა	1.70	1.90
12091	ზენიტი-ლევერკუზენი	2.10	1.60
12092	ხეტაფე-ბაიერნი	1.70	1.90
12093	პსვ-ფიორენტინა	1.55	2.20
12094	სპორტინგი-რეინჯერსი	1.60	2.10
12686	ბრიონდბიუ-მიდტიულანდი	2.00	1.60
12687	კოპენჰაგენი-ერსბიერგი	1.90	1.70
12689	სტ.ეტიენი-ლანსი	1.60	2.00

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

		ნაკ.	მეტ.
13016	უოტფორდი-ბარნსლი	1.80	1.80
13018	იფსვიჩი-კარდიფი	1.70	1.90
13089	ბარსელონა-შალკე	1.90	1.70
13090	მანჩესტერი-რომა	1.70	1.90
13091	ზენიტი-ლევერკუზენი	1.55	2.10
13092	ხეტაფე-ბაიერნი	1.70	1.90
13093	პსვ-ფიორენტინა	1.90	1.70
13094	სპორტინგი-რეინჯერსი	1.90	1.70
13686	ბრიონდბიუ-მიდტიულანდი	1.60	2.00
13687	კოპენჰაგენი-ერსბიერგი	1.70	1.90
13689	სტ.ეტიენი-ლანსი	1.90	1.70

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანბარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14016	უოტფორდი-ბარნსლი	1.30	2.50
14018	იფსვიჩი-კარდიფი	1.65	2.30
14090	მანჩესტერი-რომა	1.45	2.40
14091	ზენიტი-ლევერკუზენი	1.70	2.20
14092	ხეტაფე-ბაიერნი	2.00	1.80
14093	პსვ-ფიორენტინა	1.75	2.10
14094	სპორტინგი-რეინჯერსი	1.65	2.30
14686	ბრიონდბიუ-მიდტიულანდი	1.70	2.20
14687	კოპენჰაგენი-ერსბიერგი	1.20	2.60
14689	სტ.ეტიენი-ლანსი	1.70	2.20

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15016	უოტფორდი-ბარნსლი	3.00	2.80	2.00
15018	იფსვიჩი-კარდიფი	3.00	2.80	2.00
15090	მანჩესტერი-რომა	3.00	2.80	2.00
15091	ზენიტი-ლევერკუზენი	3.00	2.80	2.00
15092	ხეტაფე-ბაიერნი	3.00	2.80	2.00
15093	პსვ-ფიორენტინა	3.00	2.80	2.00
15094	სპორტინგი-რეინჯერსი	3.00	2.80	2.00
15686	ბრიონდბიუ-მიდტიულანდი	3.00	2.80	2.00
15687	კოპენჰაგენი-ერსბიერგი	3.00	2.80	2.00
15689	სტ.ეტიენი-ლანსი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16016	უოტფორდი-ბარნსლი	1.22	3.40
16018	იფსვიჩი-კარდიფი	1.30	3.00
16090	მანჩესტერი-რომა	1.23	3.60
16091	ზენიტი-ლევერკუზენი	1.34	2.80
16092	ხეტაფე-ბაიერნი	2.20	1.52
16093	პსვ-ფიორენტინა	1.50	2.30
16094	სპორტინგი-რეინჯერსი	1.32	3.00
16686	ბრიონდბიუ-მიდტიულანდი	1.34	2.80
16687	კოპენჰაგენი-ერსბიერგი	1.11	5.70
16689	სტ.ეტიენი-ლანსი	1.38	2.65

გოლი:ყვავილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ყვავილად)

17016	უოტფორდი-ბარნსლი	1.85	1.95
17018	იფსვიჩი-კარდიფი	1.85	1.95
17089	ბარსელონა-შალკე	1.85	1.95
17090	მანჩესტერი-რომა	1.85	1.95
17091	ზენიტი-ლევერკუზენი	1.85	1.95
17092	ხეტაფე-ბაიერნი	1.85	1.95
17093	პსვ-ფიორენტინა	1.85	1.95
17094	სპორტინგი-რეინჯერსი	1.85	1.95
17686	ბრიონდბიუ-მიდტიულანდი	1.85	1.95
17687	კოპენჰაგენი-ერსბიერგი	1.85	1.95
17689	სტ.ეტიენი-ლანსი	1.85	1.95

ᲥᲕᲐᲠᲪᲘᲢᲘ
QUARTZITE

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲔᲠᲗᲐ ᲗᲐᲡᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

12 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ. ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲘᲐᲠᲡᲙᲘ. 12 ᲡᲐᲐᲗᲘ

ᲑᲝᲚᲝ ᲒᲐᲩᲔᲠᲔᲑᲐ: ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲘᲐᲠᲡᲙᲘ

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲙᲘᲚᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲪᲮᲔᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲧᲘᲜᲕᲘᲐᲜ ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲨᲘ

12 აპრილს შუაგულ ციმბირში, კრასნოიარსკში დანიშნული საერთათასო რუსეთ-საქართველოს მატჩისთვის ჩვენი „ლელოები“ გუშინწინ თბილისი-კიევი-მოსკოვი-კრასნოიარსკის მარშრუტით გაფრინდნენ. გუშინ კი საშაბათო მატჩისთვის შეკრება დაიწყეს. რუსეთში ისედაც შესუსტებული შემადგენლობით ჩასულ ქართველებს, შეიძლება ითქვას, გზაშივე კიდევ ერთი ძირითადი რაზმელი გამოაკლდათ. საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში ტრავმა მიიღო „ლელოების“ მორკინალმა ლევან „ჩაქუჩა“ დათუნაშვილმა და რუსეთში ვერ ჩავიდა. მის მაგივრად მწვრთნელმა ტიმ ლეინმა ფრანგული „დომონის“ მეორეხზაზელ გიორგი ნემსაძეს უხმო. გუშინ კრასნოიარსკში საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ ᲒᲘᲐ ᲜᲘᲫᲐᲠᲐᲫᲔᲡ დავუკავშირდით და ჩვენების ამბების გამოვკითხეთ

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲙᲘᲚᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

— მგზავრობამ ძალიან დაგვღალა. ამდენი გადაჯდომით და მთელი დღე ჰაერში ყოფნით ძლივს ჩამოვაღწიეთ. გუშინ ნამგზავრზე ბიჭებმა დაისვენეს, დღეს კი პირველად ივარჯიშეს. კრასნოიარსკში ძალიან ცივა და თოვს კიდეც.

— რუსეთის რაგბის კავშირის წარმომადგენლები დაგხვდნენ?

— დიახ, სასტუმრომდე მოგვაცილეს. ჩვენ მათ არაფრით ვაწუხებთ. საკარჯიშო მოედანი და ავტობუსიც ჩვენით დავიქირავეთ. რატი ურუშაძის ყოფილი კლუბის „ენისეი-სიბტიაჟმაშის“ ხელმძღვანელობა დაგვეხმარა. საფარი საშინელ მდგომარეობაშია, მიწაზე დაყრილ ნახერხზე უწევთ ბიჭებს ვარჯიში. ყველა მოედანი ასეთ დღეშია, მხოლოდ ცენტრალური სტადიონი, სადაც მატჩი გაიმართება, შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია, რადგან დრენაჟი და მინდვრის გათბობის სისტემა აქვს. სხვათა შორის, ცენტრალურ სტადიონზე 15 ათასი კაცი ეტევა და, როგორც ამბობენ, ბოლომდე გაივსება.

— ესე იგი, ქალაქში უკვე იგრძნობა, რომ რუსეთ-საქართველოს მატჩია?

— დიახ, აქაურ საკაბელო არხებზე ატრიალებენ ანონსებს, აფიშებიც გაკრულია და ქუჩებში ტელე-ბილბორდებზეც ტრიალებს ვიდეორგოლები. დიდი აჟიოტაჟიათქო, ვერ ვიტყვი, მაგრამ სერიოზულად რომ ემზადებიან, ფაქტია.

— ჩვენების ვარჯიშს ხომ არ დაესწრნენ რუსები?

— არა, მოედნის მომსახურე პერსონალის გარდა არავინ შეგვინიშნავს.

— გუნდში როგორი ვითარებაა?

— ნორმალური, ბიჭები, როგორც ყოველთვის, საბრძოლო განწყობაზე არიან, ერთი სული აქვთ, როდის მოვა მატჩის დღე. ზოგიერთს მიკროტრავმა კი აქვს, მაგრამ საშიში არაფერია...

ᲑᲐᲩᲝ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

ᲨᲢᲣᲠᲛᲛᲐ ᲞᲘᲢᲛᲐᲜᲘ ᲨᲢᲣᲠᲛᲘᲗ ᲐᲘᲚᲝ

ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ WBA-ს ვერსით ჩემპიონმა, გერმანელმა ფელიქს შტურმმა აშკარად დაჩაგრა ქამრის პრეტენდენტი ავსტრალიელი ჯემი პიტმანი და ტიტულიც დაიტოვა.

დიუსელდორფში თანამემამულეთა თვალწინ მოჩხუბარი ჩემპიონი უბრალოდ ვალდებული იყო, გულშემტკივრებისთვის ნამდვილი სპექტაკლი დაედგა. შტურმმაც არ შეირცხვინა თავი, მწვანე კონტინეტიდან ჩამოსულ სტუმარს მართლა შტურმი მოუწყო და უსასტიკესადაც გალახა. 28 წლის გერმანელმა კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო ბრძოლა ჩაატარა და ბევრს დაანახა, რომ ისევ შეუძლია თავის წონაში ერთ-ერთ საუკეთესოდ იქცეს. არადა, რაც 2004-ში ოსკარ დე ჰოიასთან მსაჯთა არაერთსულოვანი გადაწყვეტილებით დამარცხდა, მისი საქმეები სულ უკან-უკან წავიდა. თუმც ეტყობა, შტურმს ისევ დაუბრუნდა ძველი მოტივაცია, რაც გერმანელმა გასულ უქმეებზე საქმით დაამტკიცა.

„შეცდომებიდან სწორი დასკვნები გავაკეთე. ნახევარი წელია, რაც ისევ სერიოზულად მივუდექი ვარჯიშს და დღეს ყველას დავანახე, რა შემიძლია“ — ამაყად განაცხადა ნამატჩევს გამარჯვებულმა.

შეიძლება, ამ ერთი მოგების შემდეგ გერმანელს ასეთი ყოყლოჩინობის უფლება არც ჰქონდეს, მაგრამ პიტმანი ისე დაჩეჩქვა, გასაკვირი არაა, დიდ გულზე რომ მოსულა. ავსტრალიელმა მხოლოდ მეორე რაუნდში გაიფაფხურა, როცა ერთ მომენტში შტურმი კუთხეში მიიმწყვდია, მაგრამ ეს სამწუთეული მაინც იმით მორჩა, რომ გერმანელმა მეტოქე პირველად დაანოკდაუნა.

პიტმანი ფიცარნაგს მეორედ მეხუთე რაუნდში ჩაახუტეს, მაგრამ ოზი აქაც წამოდგა. აი, ის კი გასაკვირია, როგორ გაუძლო ავსტრალიელმა მეექვსე რაუნდს, რადგანაც შტურმმა რამდენიმე უძლიერესი კომბინაცია გაატარა და წესით, საქმე აქვე უნდა მოეთავებინა. მაგრამ მეექვსეში თუ არა, მეშვიდე რაუნდის დასაწყისში კი მართლა ყველაფერი დასრულდა, როცა გერმანელმა მესამედ დაანოკდაუნა მეტოქე და მთავარმა მსაჯმაც პიტმანი შეიცოდა — ბრძოლა გააჩერა და შტურმს ტექნიკური ნოკაუტით მოგება ჩაუთვალა.

ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲖᲘᲚᲘ

ᲛᲝᲚᲘᲢᲝᲠᲘ ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲛᲐ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲡ

ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ყველა ბრძოლის მომგებმა, 28 წლის კანადელმა სტივ მოლიტორმა მსაჯთა ერთსულოვანი გადამწვეტილებით დაამარცხა მექსიკელი ფერნანდო ბელტრან-უმცროსი და ამით პირველ უმსუბუქეს წონაში თავისი IBF-ის ტიტული შეინარჩუნა.

კანადელი მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდა ინიციატივას და მიუხედავად იმისა, რომ მეცხრე რაუნდში თვალი გაუხეთქეს, მაინც შეუჩერებლად უტევდა მეტოქეს. ამიტომაც სამივე მსაჯმა მისი დამაჯერებელი უპირატესობა დააფიქსირა — ორი რეფერის ჩანაწერებით, მოლიტორმა 120-107, ერთის მონაცემებით კი 119-108 იმარჯვა.

ᲞᲔᲜᲘᲚᲝᲡᲐᲛ ᲢᲘᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲘᲪᲕᲐ

ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ მანილაში პირთამდე გადავსებული დარბაზის წინ იმარჯვა უმსუბუქეს წონაში WBO-ს ვერსით ჩემპიონმა ფილიპინელმა ჯერი პენილოსამ, რომელიც ტაილანდელ რატანაც სორ ვორაპინს მოერია.

ეს ამ მოკირვეთა მეორე ჯახი იყო — პირველად ისინი ერთმანეთს 2000 წელს დაეტაკნენ და მაშინაც პენილოსამ იმარჯვა მეექვსე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით.

ფილიპინელს ამჯერად უფრო მეტი დრო დასჭირდა მეტოქის დასაჩაგრად და მხოლოდ მერვე სამწუთეულში მოათავა საქმე — პენილოსამ ჯერ დაანოკდაუნა მეტოქე, ხოლო როცა ტაილანდელი წამოდგა, ისეთ წნეხში მოაქცია, რომ მთავარმა მსაჯმა ჩათვალა, ბრძოლის გაგრძელებას აზრი არ აქვსო და ადგილბრივთა გასახარად ფილიპინელს ტექნიკური ნოკაუტით მოგება ჩაუთვალა.

ᲮᲐᲜᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲐᲠ ᲐᲮᲐᲜᲔᲑᲡ

ᲐᲗᲔᲜᲘᲡ ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, 21 წლის ბრიტანელი ამირ ხანი აგრძელებს თავის დაუმარცხებელ სვლას პროფესიულ რინგზე. კუნძულელს გულში ტიტულის მოგება აქვს ამოჭრილი და ამისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა, როცა მასავით წაუგებელ დანიელ მარტინ კრისტიანსენს ტექნიკური ნოკაუტით მოუგო. ამ გამარჯვების შემდეგ ბრიტანელს უკვე შეეძლება ქამრისთვის ბრძოლა — სავარაუდოდ, ეს მსუქუბ წონაში WBO-ს ვერსიით ჩემპიონი ნეიტ კემბელი იქნება.

ისე, ხანმა მაინც საკმაო ძალა შეალია კრისტიანსენის დამარცხებას. პირველი ექვსი რაუნდის განმავლობაში ბრიტანელი აშკარად უპირატესობას ნაღდად ვერ ფლობდა და ბრძოლაც მთლიანობაში თანაბარი იყო, მაგრამ მეშვიდე სამწუთეულში კუნძულელმა აიშვა და დანიელი სამჯერ დააგდო ფიცარნაგზე, რის გამოც მსაჯი იძულებული გახდა ბრძოლა შეეჩერებინა.

ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲖᲘᲚᲘ

ამომავალი ვარსკვლავი დერიკ როუზი ზედმეტი ტრაბახისთვის დაისაჯა

სადაც შენი დაიკვეხო...

კანზასმა ვარსკვლავი ჩააქრო

ამ დღეებში სამხრეთ ტეხასის საკალათბურთო ცენტრ სან ანტონიოში დიდი ხმაური იყო. ნბა-ს იქაურ გუნდ „სან ანტონიო სფურზის“ ძველი დარბაზი „ალამოდოუმი“ დიდ საკალათბურთო ჯახებს მასპინძლობდა. ოღონდ ამჯერად არა ნბა-ს, არამედ ქვეყნის სტუდენტური ჩემპიონატის ოთხთა ფინალს.

ამერიკაში ნბა-ზე არანაკლებ უყვართ მჩქეფარე და დაუდეგარი სტუდენტური კალათბურთი და აუდიტორიაც არანაკლები ჰყავთ. სან ანტონიოში ოთხივე გუნდს ჩაჰყვა სტუდენტთა მრავალათასიანი არმია და წარმოიდგინეთ, ნახევარფინალებსაც და ფინალსაც, არც მეტი არც ნაკლები, 43-43 ათასი კაცი დაესწრო, მეტისთვის უბრალოდ დასადგომი ადგილიც ვერ მოიძებნა.

„ჩრდილოეთ კაროლინა“, „მემფისი“, „კანზასი“ და უკლა (კალიფორნია-ლოს ანჯელესის უნივერსიტეტი) — აი, ის რჩეული ოთხეული, რომელიც ასეულზე მეტი საუნივერსიტეტო გუნდიდან შეირჩა. მათგან პირველსა და მეოთხეს იმდენჯერ მოუგიათ ჩემპიონატი და იმდენად მდიდარ ტრადიციები აქვთ, რომ ლეგენდარულებიც კი ეწოდებათ. მაგრამ 5 აპრილს ორივე ლეგენდარულმა ნახევარფინალშივე დაასრულა საკუთარი ისტორიის ტანიანი წიგნისთვის მორიგი ოქროს ფურცელზე მუშაობა — უკლა-ს „მემფისმა“ გამოუყვანა წირვა, „ჩრდილოეთ კაროლინა“ კი „კანზასმა“ შემუსრა. ამ მეორე შეხვედრამ თითქოს თავიდანვე დაკარგა ინტერესი, როცა კანზასელებმა „ლეგენდარულელთა“ ხოცვა-ულეტა დაიწყეს და პირველ ნახევარში (სტუდენტურ ჩემპიონატში მატჩი ორი 20-წუთიანი ტაიმებისგან შედგება) 40:12 დაწინაურდნენ. ჩრდილოკაროლინელებმა არშერცხვენაღა მოახერხეს — პირველ ტაიმში ჩამორჩენა 38-დან 17 ქულამდე შეამცირეს და მეორეში 5 ქულამდეც კი მიუახლოვდნენ მეტოქეს, მაგრამ სენსაცია არ მოხდა, წლეულს აშკარად უკეთეს ფორმაში მყოფმა „კანზასმა“ 18 ქულით, 84:66 იმარჯვა.

მეორე ნახევარფინალი უფრო დაძაბული გამოვიდა, ყოველ შემთხვევაში, პირველი ტაიმი მაინც „მემფისი“ შესვენებაზე 3-ქულიანი უპირატესობით გავიდა და მეორეში მოათავა საქმე — 78:63. „კანზასის“ ლიდერმა და ნბა-ს მომავალი დრაფტის სავარაუდო პირველმა ნომერმა დერიკ როუზმა უკლა-ს 25 ქულა ჩაუგდო, ნამატჩევს კი იქაურობა ტრაბახით აიკლო — დაწყებამდეც დარწმუნებულები ვიყავით გამარჯვებაში, აქ ამისთვის ჩამოვედით და საერთოდაც, უძლიერესები ვართო. ამ აკრობატ ჯეელს საკუთარი თავისა და გუნდის უძლეველობის რწმენა ალბათ იმის გამოც გაუჯდა, რომ მისმა „მემფისმა“ სეზონში 39 თამაშიდან 38 მოიგო და სტუდენტური ლიგის ყველა დროის რეკორდიც დაამყარა.

მაგრამ მჯობნის მჯობნიც მალე მოიძებნა, სულ რაღაც ორ დღეში: ფინალი 7 აპრილს შედგა და სტუდენტთა სოლიდარობის გრძნობით თვით ნბა-ც კი დადუმდა, იმ დღეს მთელი ამერიკა მხოლოდ ჯეელთა კალათბურთს უყურებდა. ფინალი გამოვიდა უკომპრომისო და უდრამატულესი, სწორედ ისეთი, ფინალს რომ ეკადრება. ბრძოლა ოვერტაიმშიც კი გადაიზარდა, როცა კანზასელმა მარიო ჩალმერსმა ყურთასმენის წამღებ გნიასში ძირითადი დროის დამთავრებამდე ორი წამით ადრე 63:60 ანგარიშზე სამქულიანით გაათანაბრა. „კანზასის“ ისტორიაში ეს იყო უმნიშვნელოვანესი სროლაო, ამბობდა ამ გუნდის თავკაცი ბილ შელფი.

„როუზი“ და „მემფისი“ კი იმის გამო დაისაჯნენ, რომ ძირითად დროშივე არ გაიფორმეს ჩემპიონობა. „კანზასმა“ დამატებითი ხუთწუთეული 12:5, თამაში კი 75:68 მოიგო და ბოლო ოც წელიწადში პირველად იჩემპიონა.

ივანე კოტბიაუშვილი

დიდება დიდებს

ჰაკიმი, პატრიკი, რაილი და სხვანი

ძველი მტერ-მოყვარენი პატრიკ იუინგი და ჰაკიმ ოლაჯუონი

ვისაც ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის მიმართ მიუძღვის გამორჩეული ღვაწლი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დაუფასდება. საამისოდ ქალაქ სპრინგფილდში არსებობს კალათბურთის დიდების დარბაზი, რომელშიც ადგილს მხოლოდ რჩეულები იკავებენ და მათი სახელები უკვთავთა სიაში გადადიან. ზოგი ადრე შეჰყავთ დიდების დარბაზში, ზოგსაც იქ ადგილის დასამკვიდრებლად წლები სჭირდება. წლეულს ეს „საპატიო ლოჟა“ კიდევ 7 ღვაწლმოსილი ადამიანით შეივსო, რომელთაგან საყოველთაოდ ცნობილი გვარ-სახელის მქონე ოთხია — ჰაკიმ ოლაჯუონი, პატრიკ იუინგი, ადრიან დენტლი და პატ რაილი. დიდების დარბაზში ადგილი ასევე ერგოთ სტუდენტური კალათბურთის ვეტერან მწვრთნელ კეტი რაშს, ტელემაგნატ დიკ ვიტალსა და „დეტროიტ პისტონზის“ მესაკუთრე უილიამ დევიდსონს.

რაილის, ოლაჯუონსა და იუინგის ბედი ნბა-ს ისტორიაში ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. 1994 წლის ნბა-ს ფინალში ჰაკიმის „ჰიუსტონ როკეტსმა“ 7-მატჩიან დრამატულ სერიაში დაამარცხა პატრიკ იუინგის „ნიუ იორკ ნიკსი“, რომელსაც პატ რაილი ყოჩობდა. თავად ამ ორმა ლეგენდარულმა ცენტრმა კი სტუდენტობიდან გამოყოლილი მეტოქეობა კალათბურთის უმაღლეს საფეხურზე აიყვანა.

„ჩვენ მებრძოლები ვართ — თქვა იუინგმა საკუთარ თავსა და ოლაჯუონზე — ორივეს გვსურდა, რომ ლიგაში გამორჩეულები ვყოფილიყავით. დიდი ბრძოლები გამოვიარეთ და ერთმანეთს, როგორც საუკეთესო მეტოქეებს, ისე ვუყურებდით.“

„როცა ნიგერიაში ვიზრდებოდი, წარმოდგენა არ მქონდა, რა იყო დიდების დარბაზი — აღნიშნა 12-გზის ოლსტარელმა ჰაკიმ ოლაჯუონმა — ახლა კი მე იმ ლეგენდების გვერდით ვარ, რომლებსაც ნბა-ს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ.“

ოლაჯუონს ლომის წილი მიუძღვის „ჰიუსტონის“ მიჯრით ორჯერ (1994-95) გაჩემპიონებაში. სხვა დროს ამ ტეხასურ გუნდს არასდროს მოუგია ნბა-ს ტიტული.

მართალია, იუინგმა ვერ მოახერხა „ნიუ იორკის“ გაჩემპიონება, მაგრამ ის ამ გუნდის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშე კი გახლდათ. პატრიკი „ნიკსის“ ლიდერია ოთხ მაჩვენებელში — ქულებში, მოხსნებში, ჩაჭრებსა და დაფარებებში. თავის მხრივ კი, ოლაჯუონი სრულიად ლიგის მთავარი დამფარებელია: მას 3800-ზე მეტი „ბლოკ-შოტი“ დაუგროვებია 17-წლიან კარიერაში.

„მაიამის“ ამჟამინდელ მწვრთნელსა და პრეზიდენტ პატ რაილის კი 5 ნბა-ს ტიტული უმაგრებს ზურგს. როგორც მწვრთნელმა, მან ჩემპიონობა „ლეიკერსსა“ და „მაიამიში“ მოიპოვა.

დღეს პატ რაილის ცუდი დროება უდგას. ის ნბა-ს უცუდესი გუნდის წვრთნელია და დიდების დარბაზში არჩევის წინა დღეს მისმა „მაიამიმ“ სეზონის 64-ე მატჩი წააგო.

„აი, ესაა დიდების დარბაზი, სადაც ხალხი შეჰყავთ არა მხოლოდ შედეგების, არამედ დამსახურებების გამო. ჩემი ამჟამინდელი გუნდი ბოლო ადგილზეა ლიგაში, თუმც დღეს მე ნბა-ს ლეგენდებს შორის მიმიჩინეს ადგილი და ამის გამო უზომოდ გახარებული ვარ.“

ირაკლი პერტაია

ქართველური ამბავი: რანჩიკის ტრავმა

ესპანეთის პრიმერადივიზიონის მორიგი ტურის მატჩში, რომელშიც „ბილბაო“ „უნიკახას“ ხვდებოდა, მარტინ რანჩიკი ისე დაიმტვრა, რომ შესაძლოა, სექტემბრამდე მწყობრში ვეღარ ჩადგეს.

ვისაც ზემოთ ხსენებული გვარსახელი არაფერს ეუბნება, ეგებ გაუკვირდეს — დიდი რამე, თუ ვიღაც რანჩიკი დაიმტვრა, ასე ყოველდღე ვიღაცა შავდებაო. მათთვის ვიტყვით, რომ მარტინ რანჩიკი სლოვაკური კალათბურთის საუკეთესო მოთამაშეა და ამ ქვეყნის ნაკრებს, რომელიც საქართველოს მეტოქეა მომავალ საკვალიფიკაციოში, ბოლო მატჩებში უპირობოდ ლიდერობდა. რანჩიკი არის ერთადერთი სლოვაკი, რომელიც ისეთი მაღალი დონის ლიგაში თამაშობს, როგორიც პრიმერადივიზიონია. ის ამ სეზონის წინ გადავიდა „ბილბაოში“ და ამ გუნდის ძირითად ცენტრად და ერთ-ერთ ლიდერად ითვლება.

რანჩიკს ჯვარედინი მყესები დაუშავდა მარცხენა მუხლზე და ჯერჯერობით უცნობია, დასჭირდება თუ არა ქირურგიული ჩარევა. როგორც ვარაუდობენ, საქმე რთულადაა და დიდი შანსია, სლოვაკმა ცენტრმა ევროსაკვალიფიკაციო ეტაპის პირველი, წლევანდელი წრე გამოტოვოს.

სლოვაკეთთან ერთად ქართველების მეტოქე B დივიზიონის A ჯგუფში შვედეთი, ირლანდია და ლუქსემბურგი არიან. ქართველები სლოვაკებს 4 სექტემბერს თბილისში მასპინძლობენ.

ირაკლი პერტაია



ვაჩაგ ფოლადიანის ფოტო

ქართველი წყალბურთელები უკრაინაში მეორეობენ

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა უკრაინის ღია პირველობის მე-4 ტურში 5 თამაშიდან 4 სათავისოდ ჩაამთავრა, ერთშიც ფრე გაახერხა, 13 ქულას მოუყარა თავი და ახლა 31 ქულით მეორე-მესამე ადგილებს იყოფს „ლვოვთან" ერთად. ჩვენებმა „მაროუპოლ-2" 10:5, მოლდოვის ნაკრები 14:10, კიევის „დინამო" 9:7, ხოლო „ხარკოვი" ასევე 9:7 დაამარცხეს. უშუალო კონკურენტ „ლვოვთან" კი 9:9 ითამაშეს. ნაკრებს ორი ლეგიონერის, ილია ბუტიკაშვილის (მაგდებურგი) და პავლე ჯაფარიძის (ჰანოვერი) გარდა ბოლო 2 თამაშში ირაკლი კუტალაძეც დაეხმარა. ის საკმაოდ გამოცდილი წყალბურთელია და რუსეთის ნაკრებშიც უთამაშია.

ნაკრების თავკაცი სოსო მაისურაძე — „მარიუპოლ 2-ს" და მოლდოვას იოლად მოვუგეთ, ის კი არა, ახალგაზრდა ბიჭებსაც მივეცი თავის გამოჩენის შანსი. გამოცდილებას მიიღებენ და სამომავლოდ წაადგებათ. „ლვოვთან" დასანანი ფრე ვითამაშეთ. უკვე მერამდენედ ზედმეტი მოთამაშე ჩვენ სასარგებლოდ ვერ გამოვიყენეთ. ეს იმიტომ, რომ ბიჭები ერთად არ ვარჯიშობენ და კომბინაცია დამუშავებული არ აქვთ.

სამი თამაშის მერე ლეგიონერები წავიდნენ, სამაგიეროდ, ირაკლი კუტალაძე დაგვეხმარა. ამ ბიჭს დიდი ხანი არ უთამაშია და სათანადო ფორმაში არ იყო, სუნთქვის პრობლემა ჰქონდა, თუმც ისიცაა, რომ ძალიან გამოცდილია და ეს მის ჰლუსად ჩავთვალოთ. დაგვპირდა, ვივარჯიშებო და იქნებ მომდევნო ტურზე უკეთეს ფორმაში იყოს. ახლაც ჩვენ ვთხოვეთ დახმარება, რადგან ყველა ლეგიონერის ჩამოყვანა ვერ ხერხდებოდა. ბიჭებს კლუბები არ უშვებენ. დაცვაში ძალიან გვაკლდა საუდის არაბეთის „ალ აჰლიში" წასული ბექა ქენქაძე.

მეტოქეები კი კიდევ უფრო ძლიერდებიან, ახლაც „ხარკოვს" სამი ხორვატი ჰყავდა დამატებული. მთლიანობაში კმაყოფილი ვარ, ბიჭებმა მაგრად ითამაშეს. ლეგიონერების გარდა, მეკარე ზურა ჭუმბურიძე და გიორგი ხვედელიანიც კარგად გაისარჯნენ, რომ აღარაფერი ვთქვა ზურა რურუაზე. კაპიტანმა თამაში სრულად ჩაატარა და 18 გოლიც გაიტანა.

მომდევნო ტურში სამი მატჩი გველის და „მარიუპოლ 1" ვხვდებით. მათთან დაპირისპირება ყოველთვის რთულია, თან მათსავე აუზში. ჯერ არ ვიცით, ამ ტურზე ლეგიონერებიდან ვინ ჩამოვა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არაფერს დავიშურებთ.

ლეჭსო მაისურაძე

კრივი

გამორჩეული შვიდეული

საბერძნეთში მოკრივეთა შორის მიმდინარე ბოლო სალიცენზიო ტურნირზე საქართველოს ნაკრებიდან ორმა კაცმა იკრივა — კახაბერ ჟვანიამ (69 კგ) პირველ წრეში ხორვატი ბორნა კატალინიჩი დაამარცხა, დავით წიკლაურმა (81 კგ) კი ბოსნიელ დარკო კუჩუჩთან წააგო. მათ გარდა ნაკრების თავკაცმა თენგიზ მესხაძემ კიდევ ხუთი შეგირდი იახლა. ნიკოლოზ იზორია (54 კგ), ზაალ კვაჭაძე (57 კგ), კობა ფხაკაძე (60 კგ), ლევან ღვამიჩავა (64 კგ), გიორგი ნაკანი (75 კგ).

გეტყვით, რომ საპეკინო ლიცენზიას 54, 57, 69 და 75 კგ-ში სამი უკეთესი მოკრივე მიიღებს. 48, 51, 60, 64, 81, 91 და +91 კგ-ში კი მოკრივეები 2 ლიცენზიას გაიყოფენ.

ლეჭსო მაისურაძე

ხუთჭიდი

ესპანეთში საქართველოს მალოშემევი წარადგენს

საქართველოს ხუთჭიდელთა ნაკრები ესპანეთში 8-12 აპრილს გასამართ მსოფლიოს თასის მე-4 ეტაპზე ვერ გაემგზავრა. მადრიდში მხოლოდ ვიაჩესლავ მალოშეევი გამოვა, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს და ვარჯიშობს. მალოშეევი გამოცდილი ხუთჭიდელია და ნაკრების თავკაც ამირან შეროზიასაც მისი ეიმედება. მალოშეევმა ცხენით ვარჯიშისას მცირე ტრავმა მიიღო, თუმც ახლა კარგადაა და შეუძლია, მსოფლიოს თასზე გამოვიდეს.

ნაკრების სხვა წევრებს კი თავის გამოჩენის შესაძლებლობა 7 მაისს ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში მიეცემათ, როდესაც მსოფლიოს თასის მე-5 ეტაპზე გამოვლენ.

ლეჭსო მაისურაძე

ბოლო კვირა პრაისს დარჩა

ორიოდ დღის წინ მიიწურა ნჰლ-ის რიგით 90-ე რეგულარული ჩემპიონატი და ბოლო სათამაშო კვირის საუკეთესო ჰოკეისტად „მონრეალის" ახალგაზრდა კარის დარაჯი კერი პრაისი დასახელდა. მის გარდა სამ ვარსკვლავს შორის მოხვდნენ ჩეხი სუპერბომბარდირი იარომირ იაგრი და იმავე „მონრეალის" აწ უკვე ყოფილი და დედლაინზე „ვაშინგტონში" გაშვებული მეკარე კრისტობალ იუე.

ახალბედა პრაისისთვის, რომელსაც „მონრეალში" დიდი ნდობა გამოუცხადეს და ასაკის მიუხედავად გუნდის პირველი კიპერის სტატუსი მიანიჭეს, ეს აღიარება მშვენიერი საჩუქარია კარს მომდგარი პლეი ოფის წინ. თუმც ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ „კანადიენსის" მეკარემ რაიმე დაუმსახურებლად მიიღო — გასულ კვირაში მან თავის გუნდს სამივე შეხვედრაში გაამარჯვებინა. ამ მატჩებში პრაისი საშუალოდ 0,67 შაიბას უშვებდა და მისი კარისკენ დარტყმულის 97,7 პროცენტი იგერიებდა, ერთხელ კი კარი მშრალადაც შეინახა. ასე რომ, ამ ბიჭს დიდი დამსახურება მიუძღვის იმაში, რომ „მონრეალმა" 19-წლიანი შესვენების შემდეგ პირველად შეძლო, აღმოსავლეთ კონფერენციის საუკეთესო გუნდი გამხდარიყო.

კერი პრაისი

მთლიანად სეზონში კი პრაისმა 41 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა — ის საშუალოდ 2,56 შაიბს უშვებდა და დარტყმულის 92 პროცენტს იგერიებდა. მის ანგარიშზე სამი შატაუტია.

როგორც იქნა, სეზონის მიწურულს ათამაშდა იარომირ იაგრი, რაც პლეი ოფის წინ „ნიუ იორკ რეინჯერსის" გულშემატკივართათვის მეტად სასიხარულო ამბავია. ჩეხ სუპერ-ვარსკვლავს მთელი სეზონი აკრიტიკებენ პასიურობისა და უხეირო თამაშისთვის, მაგრამ იაგრმა მარტი-აპრილი ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა, სეზონის ბოლო კვირაში კი სულაც გაიბრწყინა. მოკლედ, იარომირმა გასულ შვიდეულში 7 ქულას (5+2) მოუყარა თავი, სეზონური მონაგარი კი 71 ქულამდე (25+46) გაზარდა.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, მესამე ვარსკვლავი „ვაშინგტონის" ფრანგ მეკარე კრისტობალ იუეს ხვდა წილად, რომელმაც დედლაინზე მოულოდნელი გაცვლის მიუხედავად, ახალ გუნდში იპოვა თავისი ადგილი და „დედაქალაქელებს" პლეი ოფში გასვლაში მაგრად დაეხმარა. „ვაშინგტონზე" საუბრისას ყველას ალექსანდერ ოვეჩკინი აკერია პირზე და რუსმა სნაიპერმაც ფაქტობრივად საკუთარი მხრებით ათრია გუნდი, მაგრამ რომ არა იუეს საიმედო მეკარეობა, მხოლოდ ოვეჩკინს არაფერი გამოუვიდოდა. გასულ კვირას კი ფრანგმა კიპერმა სამივე შეხვედრაში იმარჯვა, რომლებშიც საშუალოდ 1 შაიბას უშვებდა და მისი კარისკენ დარტყმულის 93,6 პროცენტს იგერიებდა.

კახა ლომაშვილი

აღმოსავლეთი							
მონრეალი	82	47	25	10	262:222	104	NHL
პიტსბურგი	82	47	27	8	247:216	102	NHL
ვაშინგტონი	82	43	31	8	242:231	94	NHL
ნიუ ჯერსი	82	46	29	7	206:197	99	NHL
რეინჯერსი	82	42	27	13	213:199	97	NHL
ფილადელფია	82	42	29	11	248:233	95	NHL
ოტავა	82	43	31	8	261:247	94	NHL
ბოსტონი	82	41	29	12	212:222	94	NHL
კაროლინა	82	43	33	6	252:249	92	NHL
ბუფალო	82	39	31	12	255:242	90	NHL
ფლორიდა	82	38	35	9	216:226	85	NHL
ტორონტო	82	36	35	11	231:260	83	NHL
აილენდერსი	82	35	38	9	194:243	79	NHL
ატლანტა	82	34	40	8	216:272	76	NHL
ტამპა	82	31	42	9	233:267	71	NHL

დასავლეთი						
დეტროიტი	82	54	21	7	257:184	115
სან ხოსე	82	49	23	10	222:193	108
მინესოტა	82	44	28	10	223:218	98
ანაჰაიმი	82	47	27	8	205:191	102
დალასი	82	45	30	7	242:207	97
კოლორადო	82	44	31	7	231:219	95
კალგარი	82	42	30	10	229:227	94
ნეშვილი	82	41	32	9	230:229	91
ედმონტონი	82	41	35	6	235:251	88
ჩიკაგო	82	40	34	8	239:235	88
ვანკუვერი	82	39	33	10	213:215	88
ფინიქსი	82	38	37	7	214:231	83
კოლუმბუსი	82	34	36	12	193:218	80
სენტ ლუისი	82	33	36	13	205:237	79
ლოს ანჯელესი	82	32	43	7	231:266	71

კონფერენციებში პირველი სამი ადგილი დივიზიონების ლიდერებს უკავიათ; თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ურთიერთშეხვედრებში უკეთესი მაჩვენებლის მქონე გუნდს.

გოლბადრენრები: ალექსანდერ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 112 (65+47); ევგენი მალკინი (პიტსბურგი) 106 (47+59); ჯერომ იგინლა (კალგარი) 98 (50+48); პაველ დაციუკი (დეტროიტი) 97 (31+66); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 96 (29+67); ვენსა ლეკვალიე (ტამპა) 92 (40+52); ჯეისონ სპეცი (ოტავა) 92 (34+58); ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი) 92 (43+49); დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 89 (40+49); ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 87 (52+35); ალექსეი კოვალიოვი (მონრეალი) 84 (35+49); მაიკ რიბეიროო (დალასი) 83 (27+56); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 83 (25+58); მარიან გაბორიკი (მინესოტა) 83 (42+41); დენი პიტლი (ოტავა) 82 (41+41); ერიკ სტაალი (კაროლინა) 82 (38+44); რაიან გეცლაფი (ანაჰაიმი) 82 (24+58); დერეკ როი (ბუფალო) 81 (32+49); ჯეისონ პომინვილი (ბუფალო) 80 (27+53); მატს სუნდინი (ტორონტო) 78 (32+46); შეინ დოუნი (ფინიქსი) 78 (28+50); მარკ სავარი (ბოსტონი) 78 (15+63)

გოლდადრენრები: ოვეჩკინი 65; კოვალჩუკი 52; იგინლა 50; მალკინი 47; ზეტერბერგი, ბრედ ბოისი (სენტ ლუისი) 43-43; გაბორიკი 42; პიტლი 41; ლეკვალიე, ალფრედსონი 40-40; რიკ ნეში (კოლუმბუსი), სტაალი 38-38; პატრიკ შარპი (ჩიკაგო), ტომაშ ვანეკი (ბუფალო) 36-36; კოვალიოვი 35; სპეცი, ოლი იოკინენი (ფლორიდა) 34-34; დასტინ ბრაუნი (ლოს ანჯელესი), ვაცლავ პროსპალი (ფილადელფია) 33-33; ზაკ პარიზე (ნიუ ჯერსი), სუნდინი, ბრენდან მოროუ (დალასი) 32-32

ასისტენტები: ტორნტონი 67; დაციუკი 66; სავარი 63; ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი) 61; ნიკლას ლიდსტრიომი (დეტროიტი) 60; მალკინი 59; სპეცი, სენ ლუი, გეცლაფი 58-58; რიბეიროო 56; ნიკლას ბექსტრიომი (ვაშინგტონი) 55; სკოტ გომესი (ნიუ ჯერსი), ბრაიან კემპბელი (სან ხოსე) 54-54; სერგეი გონჩარი (პიტსბურგი), პომინვილი 53-53; ლეკვალიე 52; პატრიკ კეინი (ჩიკაგო), ალეშ ჰემსკი (ედმონტონი) 51-51; დოუნი, პიერ-მარკ ბუშარი (მინესოტა) 50-50

ნაუოფიერებების კოეფიციენტი: დაციუკი 41; ლიდსტრიომი 40; პიტლი 33; გეცლაფი 32; ზეტერბერგი, დანკან კეიტი (ჩიკაგო) 30-30; ვიქტორ კოზლოვი (ვაშინგტონი), ოვეჩკინი 28-28; იგინლა, ბრაიან რაფალსკი (დეტროიტი), ჯონი ოდუია (ნიუ ჯერსი) 27-27; სპეცი 26; ნიკლას კრონვალი (დეტროიტი) 25; შარპი, კენტ ჰასკინსი (ანაჰაიმი), მოროუ 23-23; მეტ ნისკანენი (დალასი), პოლ სმასტნი (კოლორადო), მეტ შნაიდერი (ანაჰაიმი) 22-22

გაშვებულ გოლთა საშუალო მაჩვენებელი: კრის ოზგუდი (დეტროიტი) 2,09; ჟანსებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი) 2,12; დომინიკ ჰაშეკი (დეტროიტი) 2,14; ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე) 2,14; მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) 2,17; ჰენრიკ ლუნდკვისტი (რეინჯერსი) 2,23; პასკალ ლეკლერი (კოლუმბუსი) 2,25; ნიკლას ბექსტრიომი (მინესოტა) 2,31; კრისტობალ იუე (ვაშინგტონი) 2,32; მარტი ტურკო (დალასი) 2,32

დარტყმათა მოგერიების პროცენტი: დენ ელისი (ნეშვილი) 92,4; ტაი კონკლინი (პიტსბურგი) 92,3; ჟიგერი 92,2; მარკ-ანდრე ფლერი (პიტსბურგი) 92,1; ტომ ტომასი (ბოსტონი) 92,1; ბროდო 92,0; იუე 92,0; კერი პრაისი (მონრეალი) 92,0; ბექსტრიომი 92,0; ილია ბრიზგალოვი (ფინიქსი) 92,09 ტომაშ ვუკუნენი (ფლორიდა) 91,9; ლეკლერი 91,9

მოგებული მატჩები: ნაბოკოვი 46; ბროდო 44; მიკა კიპრუსოფი (კალგარი) 39; კემ უორდი (კაროლინა), ლუნდკვისტი 37-37; რაიან მილერი (ბუფალო) 36; ჟიგერი, რობერტო ლუონგო (ვანკუვერი) 35-35; ვესა ტოსკალა (ტორონტო), ბექსტრიომი 33-33; ტურკო, იუე 32-32

შათაუტები: ლუნდკვისტი 10; ლეკლერი 9; ნაბოკოვი, ლუონგო, ელისი 6-6; ჰაშეკი, მარტინ ბიერონი (ფილადელფია), მენი ლეგასი (სენტ ლუისი) 5-5; ბექსტრიომი, იუე, ოზგუდი, ბროდო, კარი ლეპტონენი (ატლანტა), მეტიუ გარონი (ედმონტონი), კრის მეისონი (ნეშვილი) 4-4

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA
SLOT POKER CLUB VEGA
ერთიანი ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. წუხელ

ისევ ლივერპული და ისევ ჩელსი, ოღონდ სადღაა ჟოზე მაურინიუ

ჩელსი 2:0 **ფენერბაჰჩე** (1:2)
1:0 ბალაკი (4), 2:0 ლამპარდი (87)
ჩელსი: კუდჩინი (ილარიო 26), ესიენი, რ. კარვალიუ, ტერი, ე. კოული, მაკ-ლელე, ბალაკი, ლამპარდი, ჯ. კოული (მალუდა 85), კალუ (ბელეტი 58), დროგბა
მწვრთნელი: ავრაამ გრანტი
ფენერბაჰჩე: ვოლქანი, გიოქჰანი, ლუგანო, ედუ, ვედერსონი (ბილგინი 89), მალდონადო (კეფმანი 60), მეჰმეთი, კაზიმ-რიჩარდსი, ალექსი, დეივიდი, სემიჰი (ულური 75)
მწვრთნელი: ზიკო
გაფრთხილება: ესიენი, კარვალიუ
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
38 369 მაყურებელი

ლივერპული 4:2 **არსენალი** (1:1)
0:1 დიაბი (13), 1:1 ჰიიპია (30), 2:1 ტორესი (69), 2:2 ადებაიორი (84), 3:2 ჯერარდი (85პ), 4:2 ბაბელი (90)
ლივერპული: რეინა, კარაგერი, შარტელი, ჰიიპია, ფ. აურელიო, კუტი (არბელოა 90), მასკერანო, ხაბი ალონსო, ჯერარდი, ფ. ტორესი (რიისე 87), კრაუჩი (ბაბელი 78)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
არსენალი: ალმუნია, ჯ. ტურე, გალასი, სენდეროსი, კლიში, ებუე (უოლკოტი 72), ფაბრეგასი, ფლამინი (ფილბერტო სილვა 42), დიაბი (ვან პერსი 72), გლენი, ადებაიორი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: სენდეროსი, ტურე
მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)
41 985 მაყურებელი

ნახევარფინალი
ლივერპული — ჩელსი
პირველი მატჩი გაიმართება 23 აპრილს, საპასუხო — 30 აპრილს

სემი ჰიიპიას გოლი „არსენალის“ კარში

„ჩელსიმ“ „ფენერბაჰჩე“ მე-4 წუთზე გატეხა

უდრამატულეს მატჩში და გემრიელ ფეხბურთში „ლივერპულმა“ რაიან ბაბელის ჯანღონით დასცა „არსენალი“ და თეო უოლკოტს ამ შეხვედრის გმირობა არ დაანება.

ეს მოხდა ლივერპულში, ლონდონში კი „ჩელსიმ“, მეოთხედფინალში პირველად გასულ „ფენერბაჰჩეს“, აქამდე რომ მოხვედით ჯერ ეს იკმარეთო, თავში და ბოლოში გატანილი გოლებით მოუგო და ოთხ წელიწადში მესამედ, ნახევარფინალში ერთმანეთს „ლივერპული“ და „ჩელსი“ დაეჯახებიან.

წინა ორ ნახევარფინალში, როცა ჩელსელებს ჟოზე მაურინიუ თავკაცობდა, რაფაელ ბენიტესის გუნდმა იმარჯვა და საინტერესოა, რას იზამს ავრაამ გრანტი.

მოკლედ, ერთი ნახევარფინალი პრემიერლიგური იქნება, ეს კი ნიშნავს, ინგლისური კლუბი ზედიზედ მეოთხედ გავა ჩემპიონთა ლიგის ფინალში.

„ლივერპულისა“ და „არენალის“ სამი საამსეზონო მატჩი 1:1 დასრულდა და წუხელაც ამ ანგარიშისკენ მიდიოდნენ, მაგრამ ფერნანდო ტორესმა ტრადიცია დაარღვია: ორ მცველს შუა გააძვრინა ბურთი და ალმუნია უშანსოდ დატოვა — 2:1.

მასპინძლებს თავი ნახევარფინალში ეგონათ, ვენგერმა კი ვან პერსი და თეო უოლკოტი შეუშვა, რომელმაც 84-ე წუთზე ფეხბურთის ქომაგებს იშვიათი სანახაობა აჩუქა — საკუთარი საჯარიმოს ხაზიდან ბურთით იარა, გზად ოთხ შემხვედრს გამარჯობის გარეშე გასცდა, მეტოქის საჯარიმოში შეავიდა და ადებაიორს საგოლე პასი ლამის ხონჩით მიართვა. 2:2 და, ამჯერად „არსენალმა“ დაიგულა თავი ნახევარფინალში, რის გამოც უმალ დაისაჯა. ვენგერმა კი ანიშნა გუნდს, დამშვიდდითო, მაგრამ...

ღონიერი რაიან ბაბელი ორ მცველში გაძვრა, კოლო ტურე მიეწება და ფეხის წამოუდებლად წაიქცია. მსაჯმა პენალტისკენ მიუთითა და აბა, ჯერარდს ვინ შეეცილებოდა. „ლივერპულის“ კაპიტანმა თერთმეტი მეტრიდან მარჯვენათი მოსხლიტა ბურთი და მარჯვენა კუთხეში გაიტანა.

აქ უკვე დასრულდა „არსენალი“ — გატყდა და მეორედ გათანაბრებას ამოდ ეცადა. ბაბელმა ბოლო წუთზე ფაბრეგასს ჯანითაც ავჯობა, სირბილშიც და ალმუნიასთან პირისპირ დარჩენილმა მეოთხე შეაგდო.

ხოლო „სტემფორდ ბრიჯზე“ მიხაელ ბალაკმა თავით გაუტანა „ფენერს“. თუმცა მასპინძლები ამის მერეც ნერვიულობდნენ, რადგან თურქებს ერთი გოლიც ჰყოფნიდათ.

ზიკოს გუნდმა მეორე ტაიმი შეტევაში გაატარა, „ჩელსი“ კი თავს იცავდა, რასაც... ფრენკ ლამპარდის გოლი მოჰყვა და ამით დამთავრდა „ფენერის“ ტკბილი მოგზაურობა ჩემპიონთა ლიგაში.

ვაჟა ხუციშვილი

ინგლისი

პრემიერლიგა
XXXIII ტური
ვესტ ჰემი 0:1 პორტსმუთი
ჩემპიონატი
გადადებული მატჩები
ბლეკბერნი 1:3 ვესტ ბრომვიჩი
შეფილდი 2:2 უენსდი
პირველი ლიგა
გადადებული მატჩები
კარლაილი 0:0 სუონსი
ნოტინგემი 1:1 როვერსი
საუთენდი 2:0 ბრაიტონი
მეორე ლიგა
გადადებული მატჩები
ბრედფორდი 1:1 ბარნეტი
დონსი 4:1 რექსემი
მორეკამბი 1:1 შრიუსბერი
როჩდეილი 4:2 ნოტსი
კონფერენსლიგა
XLIII ტური
ბარტონი 2:1 ალტრინჩემი
ეგსფლიტი 2:2 ალდერშოტი
ფერსლი 1:2 დროილსდენი
ჰალიფაქსი 1:6 კიდერმინსტერი
ჰისტონი 3:0 ძროული
ნორსვიჩი 1:1 ფორესტ გრინი
რაშდენი 1:2 კემბრიჯი
სალისბერი 2:0 ექსეტერი
სტაფორდი 0:4 იორკი
ტორკი 3:2 ოქსფორდი
ვეიმუთი 1:1 გრეისი
უოქინგი 0:2 სტივენეიჯი

შოტლანდია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
პარტიკი 1:0 სტირლინგი
მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩი
დამბარტონი 0:0 ფორფარი

სლოვაკეთი

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩები
კოშიცე 0:0 ტრნავა
ჟილინა 0:1 არტმედია

პოლონეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩი
რუხი 1:1 *გროცლინი* (0:1)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: ,ლა ,ასარიძე, ნუგზარ ლილაძე, ,ლია ნანობაშვილი, მიხეილ ,ორ,ოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ,ხელაძანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ,ამაკიძე, გიორგი ,აკაბაძე, ,ლადიმერ ხოიერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ოთარ მიგრიული, ირაკლი ,ერტოსი, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ,ფარაშვილი
ფოტორეპორტიორები: ,ურა! დოლენჯაშვილი, ბადრი ,ეთილაძე
სტილისტები: ნათელა ,ორგ,ანი, ,ალია ,ოზალაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ,ელენა ბ,�lარიოვა, ,ლია ,ბესელია, ხათუნა ბუხუხიშვილი, მაკა,ი ,ი,ურაშვილი, რუსუდან ,ოსთავა, თამარ ,ინ,�აძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00